



ილორი



№ 34 (102) 29 სექტემბერი 2009 სანაღსო მთქრათბა "სამებრელოს" ტრბანო 50 თქტრო

**მორიგი სანაღისუფლო ბლუფი
ვარდი,
უწყლობით
ჭკნობისთვიის
ბანერიული**

2

**3 ვერ
 ენავა
 ოსტატს
სიკვდილი**



**ინ "ჟინერ" ული
პერი პეტიები**

„თავს მოვიჭრი, გილაურმა თუ
იცოდეს, რატომ ინთება
ნათურა
ჩამრთველის დილაკზე თითის
დაჭერით!“

7



**ამს
დაპარბვის,
ან
დავიფყების
უფლება
არც რუსსა
აქმს და არც
ქართველს!**

6

ნაწყვეტები ვ-ველინკოს
წიგნიდან "კავკასია"



9

**ლავრენტი 4
ბერია —
ქართული
ბენია**



ბაზეთი "ილორი" უბლვება რუბრიკას
"მსოფლიოს ლებანდარული მატჩები"



12



**10
კაცობრიობის
ისტორია
კოლხეთით
ინყება**

კლიმენტი შელია



**სამებრელოს
ისტორიულ
მარცვლულ
კულტურათა
ასორტიმენტი**

11

**ქართულ-
კოლხური
ცივილიზაცია**

5

პარდი, უწყლობით ჭკნობისთვის განვირუცი

ვარდების ხელისუფლების ბერმა „სახელებელმა“ პროექტმა ვერ იხილა დღის სინათლე. ამის უპირველესი მიზეზი კი ის მატრიაკეცობაა, რაშიც ნაციონალურმა უკვე აღარ ადანაშაულებენ. ჩვეულებრივ ფაქტად იქცა და იმიტომ. „ილორის“ ყურადღების არეში მოექცა კიდევ ერთი და, კაცმა არ იცის, (სათვალაურო აგვერდი) მერამდენე, ნაციონალური ბლეფი. ზარ-ზეიმით გამოცხადებულმა „100 ახალი საავადმყოფო“ პროექტმა, როგორც მოსალოდნელი იყო, ჭირი მოგვტანა. ახლა უკვე ყველასთვის ცხადი გახდა, რომ ამ პროექტს განხორციელება არ უწერია, თუმცა უკვე დასკვნის გაკეთება შეიძლება: ამ აფიორის ინიციატორებმა და შემსრულებლებმა ქვეყანა რამდენიმე ასეული მილიონი ლარით აზარალეს (აღარაფერს გამოიღო ჯანმრთელობა შერყეულ ათასობით ადამიანზე) და, თუ ამ ხელისუფლების პირობებში არა, ის დროც დადგება, როცა აუცილებლად მოეკითხება!

სანამ მომიტხება გამოჩნდება, ბუნებრივია, ქვეყნის საბოლოოდ დაქვევას ვერ დაველოდებით და კიდევ არაერთხელ „გაგახარებთ“ სააკაშვილის პიარხელისუფლების „საგმირო საქმეთა“ წარმომხნით. მითხველიც დაგვეწმუნება, რომ ჩვენი მიზანი არ არის მხოლოდ ქვეყნის დამატკეცვართა მხილება, მთავარია, იმ ადამიანთა მდგომარეობა გამოსწორდეს, ვისაც სული კილით უჭირავს და ჯერ კიდევ ცოცხალია, მიუხედავად ნაციონალური განწირულობისა.

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში შემოვთავაზეთ რამდენიმე გამოსხაურება, რომელთა ავტორები დიდი ხანია, სამშობლოდან გადაიხვეწნენ და უკან დაბრუნებას არც აპირებენ. დღეს ვითავაზობთ იმ ადამიანთა მოსაზრებებს, ვისთვისაც სულერთი არ არის, რა მდგომარეობაა საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში.

მივესალმები ურნალისტების ასეთ აქტიურობას, რათა ნათელი მოეფინოს იმ უმსგავსობას, რასაც ქართული ჯანდაცვა ჰქვია (ჯანდაცვა?). მე ექიმი ვახლავართ და რამდენიმე წელია დასავლეთში ჩემი პროფილი ვმუშაობ. საქართველოში რაც ხდება, პირდაპირ ვეტყვით, რომ ეს კატასტროფაა, კატასტროფა მრავალი მიმართულებით. – გვეწერს გოგა და ამ მიმართულებების კონკრეტულ ჩამონათვალსაც ვთავაზობს, – “საერთო სამედიცინო განსათვალა კატასტროფულად ჩამორჩება მსოფლიო სტანდარტებს; არ არსებობს ექიმთა გადამზადების და უწყვეტი სამედიცინო განათლების არცერთი კვალიფიციური ცენტრი. თუ ვინმემ რამე იცის, მხოლოდ და მხოლოდ, თავისი პირადი ინიციატივით; სრულიად განადგურებულია საქონის სისტემა და არ არსებობს პაციენტთა მოვლის კულტურა (ჰიოხეთ ნებისმიერ ექიმს, რომელსაც დასავლეთში მუშაობის თუნდაც მცირედი გამოცდილება აქვს, რა როლს ასრულებს ექთანს. მას საავადმყოფოს საყრდენ-მამოძრავებელ სისტემას უწოდებენ). საექთნო საქმის, როგორც პროფესიის, მიმართ ჩვენთან სრულიად დამამცირებელი მიდგომაა; არ არსებობს ტექნიკური პერსონალი. მსგავსი კატეგორიის არსებობა საერთოდ არც მოიაზრება. არადა, იგი უადრესად მნიშვნელოვანი საფეხურია დღევანდელ ჯანდაცვის სისტემაში. მათ გარეშე სრულიად წარმოუდგენელია სამედიცინო საქმიანობის წარმოება. თქვენ ვერ დამისახველებთ ვერც ერთ საგანმანათლებლო სისტემას, სადაც მსგავსი მიმართულებით რამე სამუშაო ჩატარდა; სამედიცინო-საინჟინრო სისტემა, რომელიც პასუხისმგებელია სამედიცინო აპარატურის მუშაობაზე და შენახვაზე, მხოლოდ კუსტარულ დონეზეა. ტექნიკური უნივერსიტეტი ვერ უზრუნველყოფს კადრების სათანადო მომზადებას”.

ბატონი გოგა გვეკითხება და ამ შეკითხვებზე პასუხის გაცემა ჩვენი ჯანდაცვის მესვეურებს ადრე თუ გვიან მაინც მოუწევთ: „დარწმუნებული ხართ, რომ კლინიკურ-ლაბორატორიული ანალიზი საქართველოში მაღალ დონეზეა? მაშინ რატომ გზავნიან ანალიზებს საზღვარგარეთ და ზუსტებისთვის?“

ვეროპაში მოდგავე ქართველ ექიმს ნამდვილად დაეჯერება: „ვერაინ მეტყვის, რომ გერმანიაში, ავსტრიაში, საფრანგეთში ან რომელიმე სხვა ევროპულ ქვეყანაში, ფარმაკოლოგიური ფირმა საავადმყოფოს ფლობდეს ან კლინიკურ სამედიცინო საქმიანობას ეწეოდეს. ჩვენთან ეს შესაძლებელია. არის თუ არა პაციენტის უფლებების დარღვევა, როცა კონკრეტული ფარმაცევტული კომპანიის კლინიკაში მხოლოდ ამ კლინიკის წარმომადგენელი მედიკამენტის გასასაღებლად ხდება პაციენტის მომსახურება? თქვენ წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა, მაგალითად, ბაიერი, ფაიზერი, მერკი ან სხვა უმსხვილესი ფირმები თავიანთ კლინიკებს რომ ფლობდნენ? რა, ფული არ აქვთ და 100 საავადმყოფოს ვერ ააშენებენ?“

ჩვენ ამას ვერ წარმოვიდგინებთ, რომ ეს დაუშვებელია ევროპულ ქვეყნებში. მაგრამ ამის წარმოდგენა არც გვჭირდება, რადგან ჩვენთან „ეს უკვე მოხდა“.

„რას ჰგავს სანიტარულ-ჰიგიენური სისტემა საავადმყოფოებში, ადგილზე, სადაც ზეჰიგიენური მდგომარეობა უნდა სუფევდეს? ეს ყველაფერი მე დაგახსიათე თბილისის მასშტაბით. რა ხდება მაღალმთიან რაიონებში? რა ხდება სოფლად? რა სამედიცინო, ტექნიკურ-მატერიალური ცოდნა ხდება პაციენტს? პირდაპირ ვეტყვით – ნული“, – რაც დასავლური გამოცდილების ექიმისთვის მიუღებელია, ის ლამის სანატრელი აქვთ მაღალმთიანი რეგიონების მცხოვრებთ, რადგან მათთვის ექიმი დიდი ფუფუნებაა.

„ერთადერთი გამოცოცხლება შეიძინოდა გადაუდებელი სამსახურის – 03-ის მიმართ, მაგრამ ეს იყო მხოლოდ დასაწყისში და ისიც – თბილისში“.

ყველაზე მსტიკიანეულ იარაგს ეხება ბატონი გოგა, როცა აცხადებს: „რა ჯანდაცვის სანდობაზეა საუბარი, როცა ელემენტარული ყელის ტივილის სამკურნალოდ ჩვენი პოლიტიკური ისტებლიშმენტი საზღვარგარეთ დარბის!.. თუ ჩვენთან ყველაფერი „მსოფლიოში საუკეთესო“ (ხელისუფლების ასე საყვარელი ტერმინი), რატომ დარბის საზღვარგარეთ სამკურნალოდ? ყველაფერი არის ბუტაფორიული და მხოლოდ პიარზე გათვლილი.“ ეს ის პრობლემაა, რომელზე პასუხის გაცემაც თვით ყველაზე ურცხვ და უტიფარ ხელისუფლებასაც კი არ შეუძლია.

„ნუ გადავტეხავთ ჯოხს სამედიცინო საზოგადოებაზე, რადგან ისინი დაემსგავსნენ ვარდს, რომელიც უწყლობით ჭკნობისთვის არის განწირული“, – გოგა ექიმის ამ სიტყვებს, დარწმუნებული ვარ, ბევრი მისი კოლეგა იზიარებს.

ჩვენს პუბლიკაციებს ეხმიანება კახა, რომელიც გვეწერს: „მე მაქვს 2009 წლის 12 იანვრის ნასყიდობა, რომლითაც 100 საავადმყოფო პრეზიდენტის 2008 წლის 12 დეკემბრის №830 განკარგულების საფუძველზე 3 ფორმას გადაეცა! რომელია ნამდვილი დოკუმენტი? ვალდებულებათა შეუსრულებლობა ომმა და კრიზისმა გამოიწვიაო, – ფორს-მაჟორი მართლ მაგათთვის იყო? მეანობებზე რა დააზავებს? თანაც, ომამდე ერთი წელი რას აკეთებდნენ? მთავრობას უფლება აქვს ამ „ბლოკ-ჯორჯიას“ კრედიტის აღებაში რომ ლობირებს? სანტექნიკოსების ფირმა მედიცინას აუპატიურებს და პაციენტებს სამ პირტყავს აძრობს თავისი უმიზეზოდ გასამზადებელი ფასებით და ხმას არავინ იღებს! მაგათ სადაზღვეო საგარანტიო ფურცელიც გაყალბებული აქვთ: კერძოდ, 59.850.000 დოლარის „ვესტის“ გარანტიაზე ხელს აწერს არა დირექტორი ჭითანავა, არამედ ჯანაშვილების სიბე – მაზმიშვილი. იცით, რომ „ვესტიც“ ჯანაშვილებისაა (ნახეთ „ვესტის“ დამფუძნებლები, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ჯანაშვილების ოჯახის წევრია)? მოკლედ, საკუთარ თავს გარანტია ისე მისცეს, რომ ჭითანავას არც უთხრეს, თორემ რაში დასჭირდათ საგარანტიოს გაყალბება? ნეტა, ვინ „კრიშავს“ მაგათ? მიშას, ალბათ, აბოლებენ.“

მედიცინა თქმა, მართლა „აბოლებენ“ მიშას თუ თავს „აბოლებს“, მაგრამ დაბეჯითებით

შეიძლება ითქვას, რომ ამ ქვეყანაში მიშას უკითხავად არაფერი კეთდება. მოვეუბნოთ ექსპერტს, რომელიც ვინაობას არ გვიმხელს და თავისი მოსაზრებით განამტკიცებს იმ აზრს, რომ არაფერსაც არ „აბოლებენ“.

„ფასების ზრდა დააქვევს ჯერ ხალხს, მერე – მთავრობას! „ბლოკ-ჯორჯიამ“ თუ მართლა აიღო კრედიტი, მაშინ ეს კრედიტი თავისი პროცენტით აუცილებლად აისახება მომსახურების ტარიფში! მერე ნახეთ ბედნიერი ერი! სასაცილოა, ბატონი გელა ინტერვიუში რომ ბრძანებს – 100 მილიონის ჩადებას ვეკემათო. შე დალოცვილო, 5-ლარიანი შარდის ანალიზი 12 ლარი გახადე, ყოველი 100 საავადმყოფოს თითოეული შარდის ანალიზიდან 7 ლარს, არ გრცხვინია, ისე იღებ ჯიბეში, და შენ ხარ ინვესტორი? რაც თქვენ ამ 3 წელიწადში ხალხი გაამწარეთ – მათთან პასუხის გაცემის დრო მალე დაგიდგებათ! მოქმედი ხელშეკრულებით და კანონმდებლობით თქვენ დაარღვიეთ ბოლო ნასყიდობის ხელშეკრულებაც, კერძოდ, დანართი №8. სანზონის კლასტერში პირველი ეტაპი, ანუ სამშენებლო სამუშაოების დამთავრების ვადა 2009 წლის 15 ივლისს ამოგეწურათ. ახლა ახალს რას მოიფიქრებთ? კანონით ახლა თქვენს გარანტიორ „ვესტს“ 60.000.000 დოლარის გადახდა უნდა დაევალოს, მაგრამ, რომ გაირკვევა, თქვენ გარანტია გაყალბებული ფარანტინა ქაღალდია, მაშინ სად იქნებით, ძნელი სათქმელია“ – გვეწერს ექსპერტი და დასძენს:

„2007 წლიდან მამა-შვილ ჯანაშვილების მაფიამ მრავალი პიარ-აქცია ჩაატარა, რათა მოსახლეობისა და საზოგადოებისთვის როგორმე ინვესტორის მანტიაში დამკვიდრებულყო. სინამდვილეში საქმე ტიპურ პარაზიტულ გვაქვს, რომელმაც პირველი, რაც გააკეთა, ფასები გაასამზაგა (მაგალითად: შარდის 5-ლარიანი ანალიზის ფასი 12 ლარი გახდა და 7 ლარი პირდაპირ თავისი ჯიბისკენ გააქანა). ამას გარდა, 3 წელია, დიფტიორების 20-20 თეთრის ამოდებით არის დაკავებული და ინვესტიციების განხორციელებისთვის ვეღარ იცლის (თურმე, ჯერ ომმა შეუშალა მათ ხელი და შემდეგ არასტაბილურმა გარემომ).“

პასუხად მოგახსენებთ: ერთი წელი ომამდე რა ფორს-მაჟორმა შეუშალა ხელი სანტექნიკოსების ფირმა „ბლოკ-ჯორჯიას“ ან შემდგომი მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი რატომ გახდა ინვესტიციების ხელისშემშლელი ფაქტორი ამ ფირმისთვის? მაშინ რა დააზავებს ბანკების ვალაუვალმა კლიენტებმა? თქვენს ინტერვიუში გელა გოგიშვილმა გვახარა, – კრედიტი ავიღო! ვისი დასაბრუნებელია ეს კრედიტი თავისი პროცენტებით? თუ ექიმის მომსახურების ფუნქციონირება უნდა გადაიხადოს, ამ კრედიტის უზრუნველყოფა კი საავადმყოფოების შენობა-ნაგებობებით და სახელმწიფო გარანტიით მოხდა, რა შუაშია „ბლოკ-ჯორჯიას“? როგორც თქვენი სტატიიდან ჩანს, „ვესტიც“ ჯანაშვილების საკუთრება ყოფილა, ე.ი. თავის თავს მისცეს 60.000.000 დოლარის გარანტია.

უფრო მეტიც, ვე საგარანტიო დოკუმენტი საერთოდ ყალბია, რადგან მას ხელს მაზმიშვილი აწერს, რომელსაც ამის უფლება რომ არ ქონდა, სამეწარმეო რეესტრის ამონაწერი („ვესტის“ დირექტორიც და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი მხოლოდ ჭითანავა) დასტურდება. „ბლოკ-ჯორჯიამ“ და მთელმა ამ მაფიამ უკვე მოახერხეს ახალი ხელშეკრულების პირობების დარღვევაც – მათ წლეულს, 15 ივლისს, უნდა დაესრულებინათ სამშენებლო სამუშაოები (დანართი №8) სანზონის კლასტერში, რომელსაც ვითომ №5 სამშობიაროდ ასაღებენ, მაშინ, როდესაც სანზონის კლასტერში კარდიოლოგიის ინსტიტუტი და №4 კლინიკური საავადმყოფო შედის და არა თემქაზე განლაგებული №5 სამშობიარო სახლი.“

კითხულობ ამ გამოსხაურებებს და გული გეწურება – ვის ხელში ვართ ჩავარდნილები! ადამიანებს, ვინც საქართველოს დოღალათის შექმნაში უზარმაზარი წვლილი შეიტანა, შიმშილით სული სძებრე-

ბათ, უფულობის გამო ექიმთან ვერ მისულობან და ავადმყოფობით იტანჯებიან. ერთი მუჭა ვიგინდარებთ კი ისედაც ყუაზე დაყვანილ ქვეყანას ბოლო პირ ტყავს აძრობენ. ამ შემთხვევაში იმ ვითომ ინვესტორზე კი არ ვლაპარაკობ, რომელსაც დრო და მომენტი დაუდგა და თავისას ცდილობს, არამედ იმ ხელისუფლებაზე, რომელიც ვალდებულია, ხალხზე იზრუნოს, მაგრამ არა პიარაქციებითა და ვითომ კეთილდღეობის შექმნით, არამედ – რეალურად და „ბლოკ-ჯორჯიას“ მსგავსთ ასპარეზი არ მისცეს!

ამ ქვეყანას პატრონი არ ჰყავს, ამას აღასტურებს ურნალისტთან რესპონდენტების გულისტიკილიანი ნაუბარიც და ჩვენი აქტიური მკითხველების ის გამოხმაურებებიც, რომელთა მცირე ნაწილი დღეს შემოგთავაზეთ.

ბონდო მინარაშვილი

გახეთ „ილორის“ რედაქციის კომენტარი – როგორც ხედავთ, სამედიცინო სფეროს მაჯლაჯუნად აწევს მაფია და სისხლის სწოვს პაციენტებს. მაგრამ, ბევრად უარესი მდგომარეობაა ფარმაციის სფეროში, რომელსაც თავადური წარმოშობის ერთ-ერთი პარლამენტარი ბობოლა ლობირებს (მის ვინაობას უახლოეს მომავალში, სათანადო ფაქტების გადამოწმების შემდეგ გავუმხელთ ჩვენს მკითხველებს), რომლის სიხარბისა და თავგასულობის გამო ადრე კაპიკებად ღირებული (და უცხოეთში, ასევე კაპიკებად შექმნილი) პრეპარატები ცეცხლის ფასად იყიდება (ქვეყანაში უფასოდ შემოტანილი ერთჯერადი შპრიცები, რომელსაც ეს ხარბი ხელისუფალი 0-12 თეთრად ჰყიდდა, უკვე 0-20 თეთრი გახდა). საინტერესოა, როდემდე არ უნდა მიექცეს ყურადღება ამგვარ უმსგავსოებას?

ჩვენ არაერთხელ აღვნიშნეთ სახალხო მკურნალ ბიჭიკო გავნიდის მიერ გამოგონილ პრეპარატებზე, რომელიც მართლაც სასწაულის სფეროს განეკუთვნება. ბალახებსა და ყვევებზე დაზოგადებული ეს პრეპარატები „გაგენოლი“ და „დომენტოლი“, ყოველგვარი ქირურგიული ჩარევის გარეშე არჩენს სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუფალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუხსილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, პარკინსონს, ასთმას, ჩიყვს, გულისა და თირკმელის დაავადებებს, სპონს აოტის აოტიტიტს, პეპტიკურ გაფანტული სკლეროზს და შიდსს, შველის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ოსტეოქონდროზს, გაიმორიტს, სისხლის გათუთრებას, სეფსისს, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, C-ჰეპატიტს, ბოტიტს, ელენის, ნაღვლის ბუშმის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, ქლამიდიას, კლიმაქსს, წყლულს, ფსორიაზს, სახსრების დაავადებებს, ეპილეფსიას, აბყარებს სხეულის იმუნიტეტს, ახდენს თავის ტვინის უჯრედების აღდგენა-შენარჩუნებას, დადებითად მოქმედებს სექსუალურ დარღვევებზე და ნარკოტიკებით დამოკიდებულებებზე.

მაგრამ წამლის ავტორი დიდ წინააღმდეგობებს აწუდება და მიუხედავად მის მიერ განკურნებული ათასობით მაღლიერი პაციენტისა და ცნობილი მეცნიერი მედიკოსების კომპეტენტური დასკვნისა, ჯერ კიდევ ვერ ახერხებს საკუთარი პრეპარატების ლიცენზირებას.

და იცით რატომ? მისი პრეპარატები მართლაც კაპიკები ღირს იმასთან შედარებით, რაც აფთიაქებში იყიდება, ეფექტურია და ხელმისაწვდომია ყველასათვის. და ამ წამლების აღიარების შემთხვევაში აფთიაქებიდან ათასამდე ძვირადღირებული პრეპარატი ამოვა ხმარებიდან, რაც დამდღუპველი იქნება წურბელად ცქეული წამლის მაფიოსათვის.

„ილორის“ მომდევნო ნომერში ჩვენ უფრო დავწვრილებთ მოგიხრობთ ბიჭიკო გავნიდის მიერ შექმნილ პრეპარატზე და წამლის სააგენტოში მოკალათებულ იმ არაადამიანებზე, ვინც ყოველნაირად ეწინააღმდეგებიან ამ პრეპარატისათვის მწვანე გზის მიცემას.

რ.კაკეთიაშვილი

სამბროლოს საბაბო ფილიპი პირ ენაზე ოსტატს სიკვდილი



კონსტანტინე გამსახურდიას მარადიულ მხატვრულ სახეებს სკოლის მერსზე გავეცანი. მათე კლასში წავიკითხე „დიდოსტატის მარჯვენა“ და სიმართლე თუ გნებავთ, კი არ გავიცანი, არამედ გამაბრუნა ჯადოსნურმა სიუჟეტმა. შეცდომა არ იქნება, თუ ვიტყვი, დიდი კონსტანტინეს წაკითხვა ვისწავლეთ. ამ ლექსდარული მხატვრის

წაკითხვის შესწავლაც ნურავის ეგონება მცირე მონაპოვარი. მაშინ მათე კლასის ხელმძღვანელმა ფილიპე ზურავიამ ხელში დამიჭირა „დიდოსტატი“. აირია, გაფითრდა, გაშავდა და მხოლოდ და მხოლოდ ამის თქმა მოახერხა:

– არავინ და არაფერი მინახავს, არც შენ შეგხედრივარ და, თავისთავად ცხადია, არც რამეს ვიტყვი. შენც კბილი დააჭირე ენას და გახსოვდეს: პარტიის მტერი მწერლების კითხვა კარგს არაფერს მოგიტანსო და გამეცალა.

მას შემდეგ „ნაბილი დატყევილი ბედაურები“ ჩაიჯირითა ათეულობით წელმა, კონსტანტინესაც ბევრჯერ შევხვდი, ახლოდანაც, შორიდანაც, საყვარელ პროსპექტზე მოსიერნეს. ლაზური შავი ჩოხა-ახალუხი ემოსა, შევწვდი მამა-პაპათა უკვდავი სამოსელი.

მისი დაბადების 70 წლისთავზე მოკრძალებულ-დარცხენილი წერილი დავეწერე და რაიონულ გაზეთში გამოვაქვეყნე. ეს ნომერი გაზეთის რედაქტორს – ლუდმილა მოწერელიას – პროფესორ ილია მირცხულავასთვის გადაუცია. მოსწონებია წერილი ბატონ ილიას და დიდი იუბილარისათვის მიუბრუნებია.

ეს ამბავი თვით პროფესორმა მიაბო. დიდი კმაყოფილება არ გამოიხატებამს, მით უმეტეს, როცა შევიტყვე, ბატონ კონსტანტინეს წერილი მოეწონა და ავტორს სადარბაზოდ იწვევს კოლხურ კოშკში. აღმური მომდო. ცხადია, სადარბაზოდ ახლოს არ

გავკარებოვარ. ან ვინ ვიყავი, რომ კოლხურ კოშკში ვწვეოდი ცოცხლად მთარულ მარადიულობას.

სამწუხაროდ, ყველა ჩვენთავანამ არ ვიცით, ვინ არის „დიდოსტატის“ ავტორი. კაცი, როდესაც სული ჩაუღვა ქათა ქოსს, რათა დიდოსტატის ბაგეს დამხეოდა ორად ორი ჯადოსნური სიტყვა – „იქმენი ნათელი“!

ჩვენი სამეცნიერო ბიბლიოთეკის გამგემ ქალბატონმა ნელი ოდიშარიამ მოხოვა, ორიოდ ტკბილი სიტყვა დაგვიწერე კონსტანტინე გამსახურდიასთვის.

მოდი და ნუ შემოგეყრება გულზე, ორიოდ და იხიცი ლექსდარულ ქართველ მწერალზე? მან ზედმიწევნით იცის გამსახურდიაც და თქვენი მონა-მორჩილიც.

კონსტანტინე გამსახურდიამ მხოლოდ აბაშა კი არ აღამდლა, რაინის ხანაპირზე დაბადებულ გოეთეს მითხველს გააცნო მილიონობით ქართველი მითხველი და თუ ვამარული ბრძენი შინაურ კაცად იხსენება საქართველოში, ეს ბატონი კონსტანტინესა და მის მიერ ქართულად ამტყველებული ახალგაზრდა ვერტერის წყალობაა.

მარტვილი უყვარდა დიდოსტატს. მარტვილის წვრთვაში ტაძარი. ამ სიყვარულის გამოხატვა იყო დიდოსტატის თეორიული გუბათის ფერებში რომ ირეკლება, ესაბუბოდა ნიადაგ ტაძართა სწორუბოვარი ფერების წაკითხველს.

ქვაში ჩაკირული საიდუმლოს სიტყვაში გაცხადების მავთური ძალა შობებდა მას არ-

სოა გამრიგემ და განსწავლის წლებში სრულიად ახალგაზრდა ვერტერის ჩაუქრობელმა ცეცხლმა გამარჯვება ახეიმა პატარა მდინარეს, რომლის სახელით კონსტანტინემდე არ დაინტერესებულა არც ერთი კარტოგრაფი. ყველა მწერალი ერის წარსულის ქომაგი. ეს ჭეშმარიტება არ უნდა ეწველებოდეს დიდი ილიას ერს. თუ მე-19 საუკუნეში ილია იყო ერის ფარი და მასხვილი, მისია ილიასეული შეუპოვობით შეასრულა მე-20 საუკუნეში კონსტანტინე გამსახურდიამ. გადაფურცლეთ მუზეუმის შობაბედნილება და წივი და „გაისხნება სამშობლო ჩემი...“ თვალი გააყოლოთ მოქანდაკის საჭრეთელს და უნებლიედ აღმოთქვამთ: „ქართლში ვინ პოვა პატარა ციხე...“

ეპოქის კამათა აღმწერილი მარტვილის მუზეუმთანაც არ დარჩენილა ველში. ამის ნათელი დასტურია „დიდოსტატთან“ ერთად „დავით აღმაშენებელი“, რომელმაც დიდხანს მისცა საღაპარაკო კავკასიონის გადაღმევი ხალხების მითხველს. ანდა რომელი ერი გაუტოლდება თავის დღეში ქართველთა მოდგმას თავისი სწორუბოვარი ნამოქმედართი. კოლხი კაცის რაინდული სული ქართულ-შხალით და უნებლად ერის წარსულს და მწედად თუ ვინმე გაუტოლდას ძველქმინილი დიდების გაყალბებას...

ორიოდ ტკბილი სიტყვაო, მოხოვა ქალბატონმა ნელიმ.

აპა, ისიც: „მხოლოდ ოსტატს ვერ ეწევა სიკვდილი“.

სკოლის ღირსება

სანამ კალამს ავიღებდი, მისი წიგნის გარეკანზე სურათს დავეხედე: ჭინკებით სავსე მამის თვალებმა შემომღიმა. როგორ ჰგავს თვალებით შვილი მამას. თვალები ადამიანის სულის სარკეა. ვინც სვერიანე კვესელავას იცნობდა, დამემოწმება ადამიანის შინაგანი სამყარო ყველაფერზე კარგად თვალებში ირეკლება. განა მხოლოდ ბატონი სვერიანეს თვალები ირეკლავენ საიდუმლოებით მოცულ მის სამყაროს? ხანდაზმულები გეტყვიან, ვინ იყო ამბროსი და როგორ ასწავლიდა თაობებს სიცილს. ამას რომ წაკითხავთ, განმარტება არ გინდათ, ისე აივსებთ სვერიანე ბატონის სიცილით და ვითომ არაფერი იყო, მისეული განუყოფელი იუმორით.

თავრა მარტვილის №2 საშუალო სკოლა ოქროს მედლით და ჩაირიცხა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, რომლის დამთავრებისთანავე, გააგრძელა სწავლა ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში. გაიარა სახელოვანი შრომის გზა და ამჟამად არის დოქტორი, პროფესორი, რამდენიმე დარგობრივი აკადემიის აკადემიკოსი, სოციალურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საზოგადოებრივ მეცნიერებათა დეპარტამენტის უფროსი, პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი.

გამოქვეყნებული აქვს 120-ზე მეტი ნაშრომი.

დღევანდელი გვისურვებია ბატონი ივანესათვის!

მასალები მოამზადა და მოგვარა ბატონმა პეტრე კირთაძემ

სვანური მოტივები მეგრულ ენაზე

(ამოკრებილია მირიან ჯვალაღონიას წიგნიდან „მეგრული ხალხური პოეზია“). თარგმნილია მის მიერ.

პირველ ლექსს ვუძღვნით პატარა ლილე ქობალიას)

სვანური ლილე

“პო, ლილე, ვო! ისევანი დიდაბო რიგავი – შილედა, ოი-ლილე, ლილეო ვო, ლილე-ვო, ლილე და დიდაბი, დიდაბო, თარანგ ხელ არსი დაი, ვოი დი, ვოი და, დიდაბი, დიდაბო, არგევი-სერსიდან-ოი, დი-ვო, დიდაბ, ლილეოია შილედა, ოქრეში სამკალიო, რინგოია შილედაო, ოი დილე-ვოი დიდაბ”.

“პო, ლილე, ვო! დიდაბა შენდა,

პო, დილი, ლილეო! ვოი, ლილე-ვო ლილე და, დიდაბა, დიდაბა, თანგელარსი დაი, დიდაბა, დიდაბა, არგევი-სერსიდან-ოი, დი-ვოი, დიდაბ, ლილეოია შილედა, ოქროს სამკალიანო, სინგოია შილედაო, ოი, დილე ვოი დიდაბა”.

სუმი შონი ჯიმალეფი

სუმი შონი ჯიმალეფი მუშენდეს ყვანას, თეკი ორდეს მარგალეფი, იფრელი მიშ სქეამას, ჯაში ჯინს ოტკომალს ჭკომუნდეს ჰამას ობირეშის ბიბრდეს ბუბაი დო ნანას ჯიმალეფი ქიმიფუნეს ხე ვემეხანი ყამას ზუგდიდი დო მესტია შქას გაფართინუნა შარას. თუთაშხა ბედინერს დოსორუა მიმდო, ელახიშა მიდაფრთიდო ქიმიპონი ხუთი შონი, ხუთიხოლო დონიერი, მუჭომი გიბირნა ლომი, თახაშხა გოთანდ დო ტერემს ქიფუწური თოლი.

სამი ძმები სვანები

სამი ძმები სვანები მუშობდნენ ყანასო, მათთან იყვნენ მეგრელები, რა სჯობია ამასო. ხის ბირას მიუსხდნენ პურ-მარინის ჭამასო სიმღერებს შემოსახებენ ბუბაი და ნანასო, ერთურთს ძმობა შეფიცეს, ხელი არ ახლონ ყამასო, ზუგდიდს და მესტიას შორის

გააფართოებენ შარასო. ორშაბათ ბედინერს დასახლება მოეინდომე, ელახში წავიდე და ხუთი სვანი მოვიყვანე, ხუთივე დონიერი, როგორც გინახავს ლომი, სამშაბათი გათენდა და მტრებს დაეუნებლე თვალი.

ოკუპაციის შესახებ კანონი ქართველების და აფხაზების დაახლოებას აფერხებს

...ჩვენ მიერ შემუშავებული გეგმა ითვალისწინებდა პატარა სავაჭრო ბაზრობების გახსნას ენგურისპირა სოფლებში (განმუხური, ხურჩა, შამონა, ფახულანი, მუჟაფა, ჭაღე, ლია), რითაც ქართველები და აფხაზები ერთობლივად ისარგებლებდნენ, მაგრამ საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონი ოკუპაციის შესახებ ამგვარ ადგილებში კრძალავს სამეწარმეო საქმიანობას. ამიტომაც ეს პროცესი შეჩერებულია...

არასამთავრობო ორგანიზაცია „ქართულ-აფხაზური შერეული ოჯახები“ (ხელმძღვანელი – რეზო ბენდელიანი) 2003 წლიდან ფუნქციონირებს და ამ ხნის განმავლობაში დიდი ხნის უნახავი მრავალი ქართველი და აფხაზური ოჯახი, ქართველი და აფხაზი ნათესავი შეახვედრა ერთმანეთს. არადა, ამ ნათესაურ კავშირს შეუძლია, უდიდესი როლი შეასრულოს ქართულ-აფხაზური ურთიერთობის აღდგენაში.

ერთი თვის წინათ ქართველი და აფხაზი ნათესავები ერთმანეთს ენგურისპირა სოფელ განმუხურში შეხვდნენ. ამ დღეებში ამ მდგომარეობაში შეხვედრა ისევ ენგურისპირას – ხურჩაში შედგა. პარალელურად, აფხაზური არასამთავრობო ორგანიზაციის ძალისხმევით ერთმანეთს შეხვდნენ ქ. გაღეში.

ენგურსგანამ მდებარე სოფელი ხურჩა ზუგდიდის რაიონს ეკუთვნის. სოფელში მცხოვრებ 120-მდე კოლხს მრავალი ჭირ-ვარამი აქვს გადატანილი. ვალის რაიონის სოფ. ნაბაკევისაგან ხურჩას პატარა მდინარე ხურჩა ყოფს, რომელზეც საცალფეხო პატარა ხილია გადებული. ამ ხილს აფხაზები სახელმწიფო სახლავარს ეძახიან.

გზა შარშანდელი ავტოსტოპის მოვლენების შემდეგ რუსებმა გადათხარეს, აფხაზები კი მოველი თვე დათარეშებდნენ ხურჩაში. ამ მდგომარეობაში უამრავი ტყიელი გაუჩინა მცხოვრებთ. სოფლის თაგაცის ფრიდონ კვარაცხელიას გულის ოპერაცია დასტურდა. უგზობის გამო იგი იძულებული გახდა, აღიდგენული ენგური ნაით გადაეკურა. არა მარტო მე, არამედ მთელი სოფლის მოსახლეობა სამკურნალონი ვართ, მე გულის ოპერაციის გაკეთება დამჭირდა. მიმე მდგომარეობაშია ბევრი ჩემი თანახლოეული. მოსახლეობა რამდენჯერმე ააწიოკეს და ააოხრეს აფხაზურ-რუსულმა ძალებმა, რის შემდეგაც კარ-მიდამოს დატოვება მოუხდა. ამ დაძაბულმა ცხოვრებამ შეარყია ჩვენი ჯანმრთელობა. ჩემს სახლში საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილიც არის ნამყოფი. მან გეთხრა – ხურჩელები გმირები ხართ, თუმცა ამას იქით საქმე არ წასულა ყურადღებას არავინ გვაქცევს, ჩვენი თვის მიუწვდომელია სამედიცინო დახმარება. განა არ შეიძლება, უფასო გამოკვლევები ჩავგიტაროთ ამდენ უბედურებაგადატანად ხალხს? – ამბობს ფრიდონ კვარაცხელია.

სოფლის მცხოვრებთ ზუგდიდში ჩასვლა (18 კმ) 4 ღარი უჯღვებათ, რადგან არ მოძრაობს საზოგადოებრივი ტრანსპორტი. ხურჩელების განმარტებით, მათ რამდენჯერმე მიმართეს ადგილობრივ ხელისუფლებას ხურჩის მიმართულებით ავტობუსის დანიშვნის მოთხოვნით, მაგრამ გამკობა გზების უარვისობას იმიზეზებს. გზა კი როდის გაკეთდება, არავინ უწყის. უგზობისა და უტრანსპორტობის გამო ხურჩელი ბავშვები სოფელ ნაბაკევის (ვალის რაიონი) სკოლაში დადიან, რადგან ხურჩაში საშუალო სკოლა არ არსებობს, სოფელ კოკის სკოლაშივე კი 4 კილომეტრია.

ამ ეტაპზე მეტად მნიშვნელოვანია ქართველი და აფხაზი ნათესავების ურთიერთობა. ახლახან მოწოდებდა შეხვედრამ, რომელსაც ხელმძღვანელობდა ამ ორგანიზაციის თაგაცი რეზო ბენდელიანი, ხოლო შეხვედრას უძღვებოდა გამოცდილი მწვრთნელი, ქალბატონი ქრისტინე კილანავა, ვფიქრობ, თავისი საქმე გააკეთა. შეხვედრის მონაწილე ქართველებმა და აფხაზმა ნათესავებმა გამოთქვეს თავიანთი მოსაზრებები ქართულ-აფხაზური ურთიერთობის მოგვარების შესახებ. მათ გამოავლინეს მაღალი მოქალაქეობრივი დონე, ნიჭი, ურთიერთობის აღდგენის სინტერესო ხედვა. ითქვა, რომ ამჯერად ქართველებსა და აფხაზებს შორის მთავარია ნდობის ფაქტორის აღდგენა, რისთვისაც, უპირველესად, საჭიროა ურთიერთობის დადგენა, ამას კი ხელი ხელისუფლებამაც უნდა შეუწყოს.

აფხაზებთან შედარებით, რუსები მეტი პატივისცემითა და მოკრძალებით ეპყრობიან ვალის მოსახლეობას. ამ შეხვედრაზე ესეც აღინიშნა და მიესალმებოდა რუსების ამგვარ ქმედებას. ამ ფაქტს აქვს უარყოფითი მხარეც – აფხაზებისგან განსხვავებით, რუსებმა გადაკეტეს ენგურზე ყველა გასასვლელი გზა, შედეგად კი მცხოვრებნი მიმოსვლა შეიზღუდა. რუსები მოსახლეობას აიძულებენ, მხოლოდ ცენტრალური გზით ისარგებლონ.

ორგანიზაცია „ქართულ-აფხაზური შერეული ოჯახები“ მიერ ადგილობრივი მოსახლეობის სურვილის გათვალისწინებით დაგეგმილი იყო ე.წ. სახლერისპირა სოფლებში სავაჭრო ბაზრობების გახსნა, რომელიც იქნებოდა ქართველებისა და აფხაზების დაახლოების საუკეთესო საშუალება, მაგრამ, როგორც ვამბობ, ამ სურვილის ასრულებას ხელს უშლის საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონი ოკუპაციის შესახებ.

ჩვენ მიერ შემუშავებული გეგმა ითვალისწინებდა პატარა სავაჭრო ბაზრობების გახსნას ენგურისპირა სოფლებში (განმუხური, ხურჩა, შამონა, ფახულანი, მუჟაფა, ჭაღე, ლია), რითაც ქართველები და აფხაზები ერთობლივად ისარგებლებდნენ, მაგრამ საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონი ოკუპაციის შესახებ ამგვარ ადგილებში კრძალავს სამეწარმეო საქმიანობას. ამიტომაც ეს პროცესი შეჩერებულია, როგორც კი ამის შესაძლებლობა გვექნება, ამ პროექტს განვახორციელებთ, – აღნიშნა ორგანიზაციის ხელმძღვანელმა რეზო ბენდელიანმა.

ლალო ქირია, ზუგდიდი

დავრენბი ბერია — ქართული ბერია



ბერია — XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

თარგმანი როლანდ ჯალაღანიანი

სერგეი კრემლიოვი

მაგრამ ახლა სტალინის კავკასიაში ჰყავს საიმედო ადამიანი, რომელიც არც თვითონ ისვენებს და არც სხვებს ასვენებს, რომელიც ნავთობის კომპიების "ხეების" მიღმა პრობლემების "ტყეს" ხედავს, რეალური მასშტაბებითა და პერსპექტივით. და რაც ყველაზე მეტად ღირებულია, იგი არ ელოდება მითითებებს ზემოდან და პირადი ინიციატივით მოქმედებს. ეს, "მუდმივი" პარტოკრატი სუსლოვი მოგვიანებით შეუდგება წრეწარმს: "ჩვენთვის არ დაუვალდება", ბერია კი იცოდა, რა უნდა ეკეთებინა.

ბერიას საქციელის ფონზე, რომელსაც შეეძლო საკუთარ თავზე აეღო გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებლობა, სტალინის ალიზანება სხვა ხელმძღვანელ მუშაკთა უნაყოფიერობა და გადაწყვეტილების მიღების უნარობა... 1933 წლის 5 სექტემბერს სტალინს შემდეგი შინაარსის შიფროგრამა დაუდგეს მაგიდაზე:

"მოსკოვიდან, 5 სექტემბერი, 1933 წელი, 1 საათი და 28 წუთი. შემოსვლის №18. ამხ. სტალინი.

კომინტერნელში მოითხოვენ, რომ დაჩქარდეს ინგლისის დამოუკიდებელი პარტიის კომინტერნის მიერ გამოგზავნილი პასუხის განხილვა.

თუ მასალები თქვენთანაა, გთხოვთ მაცნობოთ თქვენი აზრი... №18, კავანოვი.

გალიზიანებულმა სტალინმა იმავე შიფროგრამას მიაწერა:

"თქვენი №18 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ მე არ ვარ ვალდებული პასუხი გავცე პოლიტბიუროზე დასმულ ყველა საკითხს. ინგლისელ კომინტერნელებზე პასუხის გაცემა თქვენც შეეძლებათ.

სტალინი".
ბერიას კი "ხეოდან" მითითებები არ სჭირდებოდა. კავკასიაში ხომ პრობლემათა მთები იდგა, რომლის გადაწყვეტაზე დამოუკიდებლად მუშაობა მას ერთგვარ სიამოვნებასაც კი ანიჭებდა!

ეს ადგილები ხომ ოდითხანე სამოთხედ ითვლებოდა. ტყვიად კი არ ჩამოვიდნენ აქ არგონავტები "ოქროს საწმისის" მოსაპოვებლად. პოტენციურად კავკასია უღამაზესი და უმდიდრესი მხარეა, მაგრამ, ამ სიღამაზესა და სიმდიდრეს რომ დაეუფლო, გარკვეული სამუშაოს ჩატარება საჭირო. რაც შეეხება კოლხიდას... 1934 წელს კონსტანტინე პაუსტოვსკიმ დაწერა პოემა "კოლხიდა", სადაც მთავარ გმირებს შორის იყვნენ ინჟინრები კახიანი და გაბუნია — რიონის მიერ დაჭაობებული დაბლობების დაშრობის ირგანიზატორები.

"კოლხეთში ისეთივე ჰავაა, როგორც სამხრეთ იაპონიასა და სუმატრაზე. — ამ ბოლოდა ერთ-ერთი პერსონაჟი, მოხუცი პახომოვი, — სითბო უხვად, მაგრამ ასევე უხვადაა მალარიაც. აქ არის რაღაც ტროპიკული კატორღის მსგავსი... ჭაობები რომ არ იყოს, ეს მხარე უმდიდრესი იქნებოდა დედამიწის ზურგზე..."

მე შემოდის ახალგაზრდა პაუსტოვსკის წიგნი ვრცლად მიმოვიხილო, მაგრამ მსურველებს ვურჩევ თავად წაიკითხონ იგი,

რადგან თვით პუტინის რუსეთშიც კი ჯერ არ დახურულა ყველა ბიბლიოთეკა და "კოლხიდას" მოძიება ძნელი საქმე არ უნდა იყოს.

წიგნის დასასრულს კახიანი წარმოთქვამს სიტყვას. მის შეკითხვაზე — ვინ იყო ავად მალარიით? — ხელი არ ასწია მხოლოდ "წითელყელსახევიანმა პატარა ბიჭმა..."

და კახიანი ამბობს: **"ჩვენი საქმე მხოლოდ იმიტომ კი არ არის თვალსაჩინო, რომ ვაშრობთ ჭაობებს და ქვეყანას ვენთ ახალ მიწებს, რომ ძირფესვიანად ვანადგურებთ ჭაობის მცენარეებს და ვრგავთ ახალ ნერგებს, ჩვენი საქმე იმითაცაა თვალსაჩინო, რომ ვქმნით ახალ, ჯანმრთელ თაობას..."**

პაუსტოვსკის წიგნში ბერიას გვარი ნახსენები არ არის, მაგრამ, რეალურად კახიანი და გაბუნის ბერიას "გუნდის" წევრებს წარმოადგენდნენ.

სხვათა შორის, კოლხიდის ჭაობების დაშრობა ბერიას გეგმის ერთ-ერთი მორიდებული ნაწილი იყო. მხოლოდ აფხაზეთში უნდა აშენებულიყო ტყვარჩელის მალაროები, სოხუმის ჰესი, შავი ზღვის რკინიგზა, უნდა განეეთარებინათ საციტრუსე მუერნეობა, თამბაქო, ჩაი... შავი ზღვისპირა მეორე მხარე აჭარაში დიდი ყურადღება ეთმობოდა ბათუმის პორტს, ნავთობის გადაამუშავების წარმოებას... და კვლავ ციტრუსები!

აი, თუნდაც ერთი ციფრი. 1932 წელს აჭარაში მოიწიეს 14 მილიონი ციტრუსის ნაყოფი, 1940 წელს კი მოსავალმა 315 მილიონი ცალი შეადგინა.

შავი ზღვის ნაპირებიდან მაღლა მთებისაკენ მიწვედნენ მწვანედ მოსილი დიდ-პატარა ქველები.

ყოველივე ამას კი ჭკვიანი თავი და მოხერხებული ხელები სჭირდებოდა.

მაშინ ორახელაშვილი ამტკიცებდა, რომ საქართველო არ შეიძლება გახდეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მსხვილი მწარმოებელი — მთის ფერდობებზე დიდ მოსავალს ვერ მოიწვევ... იგი სიმინდის ყანების გაზრდის მომხრე იყო, მეციტრუსეობას კი ეწინააღმდეგებოდა — გლეხებს საჭმელი სჭირდება და არა ხილი... სიმინდის და ხორბლის მოყვანა ყუბანშიც შეიძლებოდა და, შემდეგ, საქართველოში ხორბლის შემოხილვა. მაგრამ, მანდარინი და ლიმონი...

ბერია კი შორს იყურებოდა და ღრმად აზროვნებდა. მას მართლაც ფართო თვალთახედვა ჰქონდა და სჯეროდა, რომ საქართველოს ეკონომიკა მნიშვნელოვან ადგილს დაიჭერდა მთელ სოციალისტურ სივრცეში.

და ეს ეხებოდა არა მხოლოდ სოფლის მეურნეობას. 1932 წელს ბერია გამოდის ინიციატივით, რომ მოხდეს საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს რეორგანიზაცია და მძიმე მრეწველობის ობიექტები უშუალოდ დაემორჩილონ სსრკ მძიმე მრეწველობის სამინისტროს. ეს იყო ბრწყინვალე ადმინისტრაციული გადაწყვეტილება. ახლა, ერთის მხრივ, ორჯონიკიძეს შეეძლო ეფექტურად წარემართა საქართველოს მრეწველობის განვითარების საქმე, ბერიას კი ხელი ეხსენებოდა და ეძლეოდა ადგილობრივი მრეწველობის მრავალ უბანზე საქმის მოქმედებას წარმართვის შესაძლებლობა. ეს ბრძნული პოლიტიკური გადაწყვეტილება გახლდათ, რომელიც მრავალი ძაფით უკავშირდება ერთმანეთს რესპუბლიკურ და საკავშირო მრეწველობას, რაც საბჭოთა საზოგადოების კონსოლიდაციას ნიშნავდა.

ყველა სხვა "მდივანი" სხვაგვარად აზროვნებდა... ბერია ამის თაობაზე ლაპარაკობდა 1935 წლის 21-22 ივლისს თბილისის პარტიული აქტივის კრებაზე, სადაც გააკეთა მოხსენება თემაზე "ბოლშევიკური ორგანიზაციების საქართველოში მუშაობის შესახებ".

აი, ნაწევრები მისი გამოსვლიდან: **"ნაციონალ-უკლონიზმი წარმოადგენდა საკმაოდ მრავალმხრივ ნაციონალისტურ მენეჯერულ შეხედულებათა სისტემას. ცნობილია, რომ ქართველ უკლონიზტებს სურდათ თბილისის "განტვირთვა", რაც გულისხმობდა საქართველოს დედაქალაქიდან სხვა ქორონებთან წარმომადგენლების, პირველ რიგში კი სომხების აყრას და გასახლებას.**

ცნობილია აგრეთვე, სტალინის სიტყვებით რომ ვთქვათ "ველური" კორდონის დეკორების ფაქტი, რაც საქართველოს მთლიანად ჩამოაშორებდა საბჭოთა რესპუბლიკებს...

აი, ეს საბუთები:
1) 1922 წლის 21 მარტს ცენტრალური აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ფ. მახარაძე და სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. მ. ოკუჯავა აგზავნიან შემდეგი შინაარსის დეპეშას: **"დღეიდან საქართველოს რესპუბლიკის საზღვარი ცხადდება ჩაკეტილად (სიცილი დარბაზში) და ლტოლვილთა აქ შემოსვლა იკრძალება;**
2) ის პირები, ვისაც საქართველოში შემოსვლის სურვილი ექნებათ, ნებართვის მისაღებად გადაიხდიან 50.000 მანეთს (სიცილი დარბაზში)..."

ტიული აქტივის კრებაზე, სადაც გააკეთა მოხსენება თემაზე "ბოლშევიკური ორგანიზაციების საქართველოში მუშაობის შესახებ".

აი, ნაწევრები მისი გამოსვლიდან: **"ნაციონალ-უკლონიზმი წარმოადგენდა საკმაოდ მრავალმხრივ ნაციონალისტურ მენეჯერულ შეხედულებათა სისტემას. ცნობილია, რომ ქართველ უკლონიზტებს სურდათ თბილისის "განტვირთვა", რაც გულისხმობდა საქართველოს დედაქალაქიდან სხვა ქორონებთან წარმომადგენლების, პირველ რიგში კი სომხების აყრას და გასახლებას.**

ცნობილია აგრეთვე, სტალინის სიტყვებით რომ ვთქვათ "ველური" კორდონის დეკორების ფაქტი, რაც საქართველოს მთლიანად ჩამოაშორებდა საბჭოთა რესპუბლიკებს...

აი, ეს საბუთები:

1) 1922 წლის 21 მარტს ცენტრალური აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ფ. მახარაძე და სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. მ. ოკუჯავა აგზავნიან შემდეგი შინაარსის დეპეშას: **"დღეიდან საქართველოს რესპუბლიკის საზღვარი ცხადდება ჩაკეტილად (სიცილი დარბაზში) და ლტოლვილთა აქ შემოსვლა იკრძალება;**
2) ის პირები, ვისაც საქართველოში შემოსვლის სურვილი ექნებათ, ნებართვის მისაღებად გადაიხდიან 50.000 მანეთს (სიცილი დარბაზში)..."

3) ის პირები, ვინც საქართველოში მოხდნენ 1817 წლამდე და გამოთქამენ აქ ცხოვრების სურვილს, ნებართვაში გადაიხდიან ერთ მილიონ მანეთს;

4) საქართველოს მოქალაქეობას ჰკარგავს ის ქართველი ქალი, ვინც ცოლად გააყვება უცხოელს (სიცილი დარბაზში)..."

კითხულობ ამას, ადარებ დღევანდელობას და უნებლიედ ფიქრობ: **"სევდიანია ეს ყველაფერი, ამხანაგებო, სევდიანი..."**

და საზიზღრობა!
სწორედ ბერიას ეს გამოსვლა, რომელიც მალე მომცრო ბროშურად გამოიცა, მოგვიანებით მის წინააღმდეგ ბრალდების წამოწვევის საბაბად იქცა, იმ მოტივით, რომ თითქოს და ბერია ყოველივე ეს სტალინის "სამებლად" გააკეთა. ბერია მართლაც აღნიშნა, რომ "კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციის მისი დაარსების პირველი დღიდან უწყვეტად და მჭიდროდ იყო დაკავშირებული სტალინის სახელთან".

სწორედ ეს არ აპატიეს ბერიას ძველი თაობის ბოლშევიკებმა, მოგვიანებით კი ანტონოვოვსეენკომ.

არა და, ეს ყველაფერი სიმართლეა. და არა მხოლოდ იმიტომ, რომ 1905 წელს ლენინმა მაღალი შეფასება მისცა სტალინის სტატიას, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ "პროლეტარიატის ბრძოლის" მეორე ნომერში, რომელიც იქვე ითარგმნა რუსულ ენაზე. და არა იმიტომ, რომ 1901 წელს სტალინის თანადგომით დაარსებულ ამ გაზეთს ჯერ "ბრძოლა" ერქვა ("ისკრის" გამოსვლიდან რამდენიმე თვის შემდეგ). სტატია მართლაც საინტერესო და აქტუალური იყო და დაიბეჭდა მანამდე, ვიდრე განდებოდა მცნება "ბოლშევიკი".

და არც იმაში იყო საქმე, რომ "კობა" პირველად ჯერ კიდევ 1903 წელს გადაასახლეს ციმბირში, ირკუტსკის გუბერნიის და მთელი ეს წლები სტალინმა ლენინთან ერთად გაატარა...

საქმე იმაშია, თუ როგორ ვინმე იქცა სტალინი ახალ რუსეთში. ერთმანეთს რომ შევედართ მისი რევოლუციის შემდგომი პოლიტიკური და ორგანიზაციული მასშტაბი და ბუღუ მდივანისთანა ხალხის შესაძლებლობები, ყველაფერი თავის ადგილზე დადგება.

ახე არ ხდება, რომ ადამიანი ახალგაზრდობაში დიდი ვერაფერი ბედენა იყოს,

ხანდაზმულობაში კი იმ დიდ ბელადად და დევდირად იქცეს, რომელსაც ყველაფერი ხელეწიფება.

სტალინის წინაშე ჩერხილიც კი მორჩილად იდგა ხოლმე, ბუღუ მდივანი კი... მას ამრეხით უყურებდა...

ამას ხომ ვერავინ უარყოფს!
გარდა ამისა, სტალინის წამმართველ როლზე ამიერკავკასიის ბოლშევიკთა ცხოვრებაში ინფორმაციას შეხვდებით არა მხოლოდ ბერიას ბროშურაში, არამედ სხვა წყაროებშიც. მაგალითად, 1904 წლის 8 ოქტომბერს ტფილისის "ოსრანკის" განყოფილებაში განხდა შემდეგი შინაარსის ჩანაწერი: **"ჯულაშვილი გაიქცა გადასახლებიდან და ახლა იგი საქართველოს მუშათა პარტიის თაყვანია".**

ნაკლებ სარწმუნოა, რომ ტფილისის "ოსრანკის" თანამშრომლებმა ეს ჩანაწერი გააკეთეს ბერიას არგუმენტის გასაძლიერებლად.

და კიდევ ერთი... იმასაც ამბობენ, რომ ეს ბროშურა ბერია სტალინის დაკვეთით გააკეთა... მაგრამ, აი, როგორ აღმოუჩინებთ წერდა სტალინი კავანოვის, ეფოსა (მაშინ ცეკას საორგანიზაციო განყოფილების უფროსს) და მილოტოვს 1935 წლის 17 აგვისტოს: **"გთხოვთ აუკრძალოთ ბერიას ჩემი 1905-1910 წლის წერილების ხელმოწერად გამოცემა ჩემი სანქციის გარეშე. მიზეზი ისაა, რომ წიგნი გამოცემულია აგდებულად, ბევრი შეცდომაა ლენინის ციტატებში, რომლის ჩამსწორებელი ჩემს გარდა არაინაა (საინტერესოა, რას აკეთებდნენ ამ დროს სტალინის რეფერენტები — ს.კ.), მე რამდენჯერმე ვუთხარი უარი ბერიას ამ წიგნის ხელმოწერად გამოცემაზე, მაგრამ იგი არ მიჯერებს. ამიტომ მინდა, რომ მკაცრად გააფრთხილოთ..."**

მე არ შეუვლები იმის მტკიცებას, რომ ამ წიგნის გმირი ყოველთვის და ყველაფერში მხოლოდ სულგამკლ რაინდობას იჩენდა. მაგრამ საბუთები არანაირად არ დადასტოებენ ბერიას მიერ ჩადენილ მიუღებელ საქციელზე. გამორიცხული არ არის, რომ ადგილი ჰქონდა გარკვეულ ემოციებს, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, ბერია მინც დადებითად ხასიათდება.

ბერიას მიერ სტალინისადმი პრინციპული მოთხოვნები მისი წიგნის მეორეხედი გამოცემის თაობაზე ფაქტად რჩება. მაგრამ, უნდა ვაღიაროთ, რომ აქაც საქმე გვაქვს კომპეტენტურბასთან — პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ და წმინდად ადამიანურ ჭრილში.

ნამდვილად ასეა!
ერთის მხრივ, 30-იანი წლების შუაში საქართველოში ახალი თაობა ჩამოყალიბდა, რომლის სულიერი ფორმირება საბჭოთა ხელისუფლებამ მოახდინა და ბევრი მათგანი იცნობდა სტალინის იმ ნაშრომებს, რომელმაც იგი ამიერკავკასიის ბოლშევიკთა ლიდერად აქცია და რომელშიც ნათლად იყო გამოკვეთილი მისი მაღალი პოლიტიკური და ინტელექტუალური დონე.

მეორეს მხრივ, სწორედ საქართველოში მომრავლებული "ძველი ბოლშევიკები" (მით უმეტეს, ყოფილი მენშევიკები) აქტიურად აგრძელებდნენ ხმებს სტალინის მეორეხარისხოვან როლზე რევოლუციური ბრძოლების საწყის ეტაპზე.

და არა მარტო ხმებს აგრძელებდნენ. ავიღოთ პირველი დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის მე-19 ტომი, რომლის რედკოლეგიის წევრები იყვნენ ბუხარინი, პი-ატაკოვი და სხვა ოპოზიციონერები.

სარედაქციო მუშაობა ტომზე, რომელშიც გამოქვეყნებული იყო სტატია "საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა", დამთავრდა 1930 წლის 1 ნოემბერს. სტალინი უკვე რვა წლის დანიშნული იყო საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად.

გაგრძელება იქნება

მრავალსაუკუნოვან ქართველ ერს, ადრეკლასობრივი ხანის პერიოდისა და ცივილიზაცია, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა თვითმყოფადი ქართული კულტურა. ქართველმა ერმა დიდი წვლილი შეიტანა მსოფლიო კულტურის საგანძურში. ამის ილუსტრაციას წარმოადგენს მსოფლიოს ცივილიზებულ ქვეყნებთან ურთიერთობის მდინარეების, განათლების, კულტურის, ხელოვნებისა და ეკონომიკის სფეროებში.

ქართულმა სულიერმა კულტურამ, რომელიც თავისი არსით თვითმყოფადი კულტურაა, როგორც აღნიშნავენ პროფესორები: ნოდარ ასათიანი, ვიქტორ გუჩუა, მარიამ ლორთქიფანიძე და შოთა მესხია, ყველაფერი საუკეთესო შეითვისა იმ კულტურათაგან, რომელიც მუშობდა ქვეყნებში იქმნებოდა.

ქართულმა ქრისტიანულმა კულტურამ და ქართულმა მწერლობამ, შორს გაუთქვეს სახელი ჩვენს მრავალსაუკუნოვან ერს. დიდი ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს: „ჩვენ ყველამ ვიცით, რომ თანამედროვე ქრისტიანობის ქართველი ხალხის უძველესი ხანის კულტურის შესწავლა უძველესი პირობების ქრისტეს წინააღმდეგობა უნდა ქონდეს, მაგრამ შესაძლებელია, შემდეგ გამოირკვეს, რომ ამ ხანის მწერლობის ენა ქართული შტოს კი არ ეკუთვნოდეს, არამედ მეგრულ-ლაზურს, ან სვანურ შტოს. ამის გამო, ქართულ ენაილოკავების შესწავლას ჩვენი ერის უძველესი წარსულის შესწავლისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს და ექნება კიდევ ყოველთვის“.

პროფესორ სერგი მაკალათის აზრით, კოლხეთი იწყება საქართველოს ისტორიის დასაწყისშია ის გარემოება, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ძირითად ავტორიტეტს წარმოადგენენ შორეული ეპოქის მოღვაწეთა მიერ გამოთქმული მეტად საინტერესო მოსაზრებები. აი, ისინიც: ისტორიის მაია - პეოლოტე, აპოლონიოს როდოსელი, გეორგიკა, ქართლის ცხოვრება; ქართველი მეცნიერების - ივ. ჯავახიშვილის, აკ. შანიძის, თ. გამყრელიძის, კ. დანელიას, რამაზ პატარიძის, გრანი ქეთარაძის, ივ. გუგუშვილის, მაია ხეცურიანის, მამანტი ძაძაძის, გ. ელიაშვილის, ხუხუას და სხვა გამოჩენილ მეცნიერ-მკვლევართა მიერ შესწავლილი და გამოთქმული მოსაზრებები ქართული ცივილიზაციის კვლევის საკითხებთან დაკავშირებით.

ქართული ცივილიზაციის აკანს კოლხეთი წარმოადგენდა. აკადემიკოსი თ. გაბრედიძე აღნიშნავს, რომ სწორედ ძველი კოლხეთი, კოლხური სახელმწიფოებრიობით თარიღდება უძველესი ქართული სახელმწიფოებრიობა. შემთხვევითი არაა, რომ „ქართული სახელმწიფოებრიობის სასახლის თარიღად სხვადასხვა მეცნიერულ თვალსაზრისებს შორის სხვა ქართველ ხელისუფლებას სწორედ „კოლხურ ვარიანტზე“ შეჩერდა“.

ქართული კულტურისა და აზროვნების საწესები - წერს პროფესორი ივანე კეკელიძე, შორეულ პრეისტორიულ ხანაშია საბიძგელი და ქართული ისტორიოგრაფია სამართლიანად ასაბუთებს ქართველური ტომების არსებობას ვერო-აზიურ და აღმოსავლურ სივრცეში.

ქართული კულტურა და აზროვნება საკაცობრიო ცივილიზაციის ნაწილად უნდა მივიჩნიოთ და ბუნებრივია, მას გააღებინა უნდა მოეხდინა სხვა ხალხების ცხოვრებასა და კულტურაზეც. ქართული სახელმწიფოებრიობის სამართალი წლისთავი, რომელიც ქართველმა ხალხმა 2000 წელს აღნიშნა, სწორედ კოლხეთის ქართველურ სახელმწიფოდ მიჩნევა განსაზღვრავს.

ქართული ცივილიზაციის სათავეს რომ კოლხეთი წარმოადგენდა, ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს ისტორიკოსის, ისტორიის მაჰად აღიარებული პეოლოტის მიერ წარმოთქმული ფრაზა: „ოდესდაც კოლხებს დამწერლობა ჰქონდათ, მაგრამ არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, ჰქონდათ თუ არა მათ დამწერლობა თვით პეოლოტის დროს, ე. ი. მე-3 საუკუნეში ჩ. წ.“

აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკის“ მიხედვითაც ფართოდ დომინირებს აზრი იმის შესახებ, რომ „კოლხებს აქვთ მათგან ნაწერი კვირბები, რომლებზედაც ირგვლივ მოგზაურთათვის ნაჩვენებია ზღვისა და ხმელეთის ყველა გზა და საზღვარი“.

კოლხეთის, როგორც სახელმწიფოს ცივილიზებულიობაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ კოლხებს ჰქონდათ სახელმწიფო ენა. აკადემიკოს თ. გამყრელიძის თუ დავესესხებით „ზანური ენა“ - დღევანდელი მეგრულ-ლაზურის წინაპრი ენა იყო - სწორედ კოლხური სახელმწიფოს ენა, რომელზედაც, როგორც ივანე ჯავახიშვილი, მეტყველებდა აია - ქვეყნის, ე. ი. „კოლხეთის“ მეფე აიგტი. ამ ენას აკადემიკოსი აკაკი შანიძე „კოლხურს“ უწოდებს.

როგორც ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობის, ასევე ეროვნული ცნობიერებისა და ეროვნული მოძრაობის საწესები, იმ მხრივ არის საინტერესო, რომ თვითმყოფადი ქართული სახელმწიფოს შექმნის იდეამ სწორედ კოლხეთში დაიდო სათავე. აი, რას წერს აღნიშნულთან დაკავშირებით პროფესორი ი. კვესელავა: „ქართული ეროვნული ცნობიერების და ეროვნული მოძრაობის საწესები შორეულ საუკუნეებში დღეს, ამაზე მეტყველებს ფაზისის მაღალი დონის რიტორიკულ-ფილოსოფიური აკადემიის მხილველთა თუ მსმენელთა, აიგტის და ფარტახის პაექრობა. მე-3 საუკუნის საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური მოძრაობის პროდუქტზე, განა ეროვნული მოძრაობისადმი დამოკიდებულების დადასტურებად არ ვლერს აიგტის სიტყვები: „მე ვინატირდი კოლხეთის სახელმწიფოს ჰქონდეს მისი ძველი ძლიერება, რომ მას არ დასჭირებოდეს უცხო და გარეშე დახმარება ამგვარ საქმიანობაში, როგორც იმიანობის ისე მშვიდობიანობის დროს, მხოლოდ საკუთარ თავს ეყრდნობოდეს“.

როგორც ისტორიული წყაროებიდან არის ცნობილი, მე-7 საუკუნეების საქართველოში, აქმეს მიადწია ცივილიზაცია. როგორც აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე აღნიშნავს ამ დროის საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული ანტიკური ფილოსოფია, რიტორიკული ხელოვნება. მე-4 საუკუნის კოლხეთი იმითაც არის საინტერესო, რომ აქ ქალაქ ფაზისის (ფოთის) მახლობლად არსებობდა ფილოსოფიურ-რიტორიკული აკადემია, სადაც განათლებას მიუღიათ ცნობილი ბერძენ მკერმეცველებს - ევგენიოსს და მის შვილს თემისტოქოსს.

უნდა აღინიშნოს ქართველი მეფისწილის - მურვანის, იგივე პეტრე იბერის მოღვაწეობა კონსტანტინოპოლში, მე-5 საუკუნეში, რომელიც იქ ტყვედ იყო წაყვანილი. სახელგანთქმულ ფილოსოფოსს პეტრე იბერს საქართველოსთან არ გაუწყვედა კავშირი. მის სახელთან უშუალოდ არის დაკავშირებული არაერთი ქართული მონასტრის დაარსება პალესტინაში.

კოლხეთის აკადემიაში სწავლა-განათლება მიუღიათ საბერძნეთის იმპერატორთა შვილებს. ძველ კოლხეთში საკუთარი არსებობა ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ როგორც ზემოთ არაერთხანს აღნიშნეთ, ქართული ცივილიზაცია ე. ი. ერის თვითმყოფადი კულტურის საწესები სწორედ რომ კოლხეთში უნდა ვეძებოთ.

კოლხებმა, შექმნეს რა თვითნაირი სახელმწიფო, ამით, მათ შეძლეს შექმნა ისტორიისა, ისტორია კი, თუკი გერმანულ ფილოსოფოსს ჰგვლის მოუხუმობა, „მხოლოდ ის არის, რაც თავისი გონების განვითარებით არსებობდა მნიშვნელოვანი ეპოქას ჰქმნის“.

მეცნიერების სხვადასხვა დარგების განვითარება, კიდევ უფრო აქტუალური გახდა ძველი კოლხეთის ისტორია. აი, რას წერს ცნობილი მწერალი, მეცნიერი და კოლხური კულტურის მკვლევარი ვლადიმერ ალფინიძე: „კარტოგრაფიისა და გეოგრაფიის („კოლხური კირბები“) პირველი საწესები უძველეს დროში სწორედ კოლხებმა შექმნეს“. ბერძნული და ლათინური მითები ევკლიდესების მასწავლებლებად ასახელებენ კოლხებს. ევკლიდესში პეოლოპოლისის დაარსება იყო კოლხი აქციუსის პირველი გამართვა - სასწაული, აღნიშნავს ვლადიმერ ალფინიძე. ეს ფაქტი წარმოაჩენს კოლხური ცივილიზაციის უდიდეს როლს მსოფლიო ცივილიზაციის განვითარებაში.

კოლხური კულტურის საკითხებს არაერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი მიუძღვნა

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა ბატონმა გივი ელიაშვილმა. მან სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით, შესწავლა და გამოამხურა „კოლხეთის ისტორიის გარეგანიდან მომდინარე ცივილიზაცია“. ამ ნაშრომს მაღალ შეფასებას აძლევდა მკვლევარი ვლადიმერ ალფინიძე.

მარტვილის ეროვნული მუზეუმის ფონდები, წერს ვლადიმერ ალფინიძე: „შეიცავს ენოლოგიური ხანის და ბრინჯაოს ეპოქის, მეტად მნიშვნელოვანი ღირებულების უნიკალურ ნივთებს, რომელთაც აქვთ მითოლოგიური ხასიათის მონაცემები, რაც ჩვენი ერის ისტორიული წარსულის მაღალკულტურული კარტოგრაფიული და იდენტობის დამწერლობის უნიკალურ მოწმეებს წარმოადგენენ. მათ შორის დიდი მნიშვნელობის მზისა და მთვარის ხატ-სალოცავების, რაც უძველეს დროში შექმნილი და გამოყენებული იქნა. ისინი ისტორიული, ეთნიკური, ეთნოკულტურული თვალსაზრისით უდაოდ მეტად ღირებულ დანაშრეგებს წარმოადგენენ. ორივე მნათობი ღვთის მიერ სამართალს შექმნის მესამე დღესაა შექმნილი და ღვთიური მადლი და დანიშნულება აქვთ მიღებული“.

ფართო იყო კოლხეთის, როგორც სახელმწიფოს გავრცელების არეალი. გარდა ფაზისის აკადემიისა, აკადემია შუა საუკუნეების პერიოდში, კერძოდ კი მე-12 საუკუნეში, არსებობდა კელათშიც, რომელიც დააარსა მეფეთ-მეფემ დავით აღმაშენებელმა. გელათის აკადემიის დაარსებასთან დაკავშირებით პროფ. მიხეილ ნიკოლეიშვილი წერს: „აკადემია ისევე აუცილებელი ატრიბუტი იყო სამეფო ხელისუფლებისათვის, როგორც საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოები, რომლებიც ფაქტობრივად აკადემიას ეყრდნობოდნენ. დავით აღმაშენებელმა, უწინარეს ყოვლისა, სულიერ სფეროს გარდაქმნას მიაპყრო განსაკუთრებული ყურადღება. შემთხვევით არ უწოდებია მისთვის ანტონ კათალიკოსს „მეფე ფილოსოფოსი“. აღმაშენებელმა იცოდა, რომ სულიერი ცხოვრების გარდაქმნის გარეშე შეუძლებელი იყო გონიერული და სრული პოლიტიკური კურსის განხორციელება“.

შუა საუკუნეების ეპოქაში გელათი კულტურის დიდ ცენტრს წარმოადგენდა. მე-12-13 საუკუნეებში მონასტრთან ერთად არსებულ აკადემიაში დიდი მეცნიერულ მუშაობას ეწეოდნენ იმ დროის ცნობილი ფილოსოფოსები და მწერლები, მათ შორის იონანე პეტრიწონელი (პეტრიწი). აკადემიაში ფართოდ იყო გაშლილი მთარგმნელობითი მუშაობა, სადაც თარგმნიდნენ ფილოსოფიურ და ლიტერატურულ თხზულებებს. იქმნებოდა საინტერესო ნაწარმოებები. ახალგაზრდები აკადემიაში იღებდნენ სრულყოფილ განათლებას. აღმაშენებლის ეპოქაში, კულტურის ახალ ცენტრს წარმოადგენდა იყალთოს აკადემია (თელავთან), რომლის დამაარსებელი გახლდათ ცნობილი ფილოსოფოსი არსენ იყალთოელი. იმ დროისათვის შიო მღვიმის მონასტრიც, კულტურის მნიშვნელოვანი კერა იყო. მას მფარველობდა დავით აღმაშენებელი. აქ გაატარა ცხოვრების პოლო წლები ფილოსოფოსმა არსენ იყალთოელმა.

შუა საუკუნეებში, ქართველთა კულტურულ ცხოვრებაში საზღვარგარეთული ცენტრები დიდ როლს ასრულებდნენ. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანს წარმოადგენდა ათონის ქართველთა მონასტერი და პეტრიწონის მონასტერი. უმაღლესი ტბის სასწავლებლებთან და მონასტრებთან ერთად დაწვევით სკოლებიც არსებობდა.

თანამედროვე ეტაპზე მსოფლიოს ქვეყნების ცივილიზაციებთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მთლიანობაში საქართველოს - პოეტის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ამ პატარა ნატრის ტყავის“ ცივილიზაციის კვლევას. ამ საკითხთან დაკავშირებით, მეტად საინტერესო წიგნს წარმოადგენს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორის ქალბატონ მაია ხეცურიანის ნაშრომი „ცივილიზაციის ისტორია“.

ამ მეტად საინტერესო წიგნში დიდი ადგილი აქვს დათმობილი საქართველოს, როგორც ცივილიზაციის უდიდეს კერას.

ამრიგად, წინამდებარე ნაშრომში მოკლედ შევეცადეთ წარმოგვეჩინა ქართული ცივილიზაციის საკითხები, თუ საიდან იღებს სათავეს ქართული ცივილიზაცია. შემოვიფარგლეთ კოლხური კულტურით, რომელი ქვეყნის კულტურაც სრულიად საქართველოს ეკუთვნის.

რ. შალამბერიძე

„მარტვილი საზვარელი ქალივით მომინატრება...“

მშობლიურზე რაზე არ არის ოტია იოსელიანი შეყვარებული, მაგრამ მის ცხოვრებასა და შემოქმედებაში მარტვილს და მარტვილებს განსაკუთრებულად გამორჩეული ადგილი უკავია.

„მარტვილი საყვარელი ქალივით მომინატრება ხოლმე“. იტყვის ბატონი ოტია და აუცილებლად დაუმატებს: „აქ სხვანაირი მოყვარება იცინა“

ეს ურთიერთობა გუშინ და გუშინწინ არ დაწყებულა. დიდი გივი ელიაშვილს მარტვილმა და მუზეუმის უტყუარმა მემკვიდრემ, ქალბატონმა ნელი ოდიშარიამ ამასწინათ მიხედა მუზეუმის შთაბეჭდილებების ერთ-ერთი წიგნი, სადაც შავი თეთრზე სწერია: „ერთი თვის მანძილზე მესამედ ვარ მარტვილში, უკეთეს ადგილას ან კი სად წავა კაცი? უცქერ აქაურ ცას, მთას, მიწას და მიხარია, რომ ქართველი ვარ!“

ოტია იოსელიანი

ეს ჩანაწერი არც მეტი, არც ნაკლები 1962 წელს არის გაკეთებული, რადგან ზემოთ გივი ელიაშვილს უბრალოდ აღნიშნოთ იმ განუყოფელი მეგობრობის შესახებ, რომელიც ამ ორ დიდ ადამიანს შორის არსებობდა. ეს იყო მეცნიერებისა და შემოქმედის ურთიერთობის ნიმუში.

რამდენადაც მასსოვს მუზეუმის არცერთი დიდი ღონისძიება ოტიას მონაწილეობის გარეშე არ ჩატარებულა. უფრო მეტიც: ზუგდიდს, წალენჯიხას, ჩხოროწყუს თუ დასავლეთის რომელიმე რაიონში მიმავალი ოტია აუცილებლად გზას „გამირულებდა“ ხოლმე და მარტვილში შემოსევადა თავისი მეგობრების მოსაკითხად, გზიანი და იმედიანი სიტყვის დასატოვებლად.

შარშან, ერთ-ერთი საუბრის დროს მან მრავალმნიშვნელოვნად გამოგვხატა ძველ მუზეუმელებს - პეტრეს, როლანდის, ანას, ამბროსის, ნონას, ორინას, კუყუნას და სინანულთ თქვა: „ისე, კაცმა რომ თქვას, იმ ქალაქში სადაც თქვენ ცხოვრობთ, წიგნის ერთი მაღაზია ქე უნდა იყოსო“

დემურთა მოწამე, მუზეუმის ხელმძღვანელმა გივი ელიაშვილს მამაკაცმა ქვეყანა შეაწვია და ორიოდ თვეში თვითონ ოტიამ აკურთხა წიგნის ახალი ჭერი მუზეუმში.

სწორედ ამ მაღაზიის სანახავად და „საკურთხებლად“ ჩამოსული მწერალი მუზეუმის წინ იდგა მარტვილელ მეგობრებთან. ჩაიარა ერთმა პიროვნებაში, იცნო სტუმარი, მოურიდებლად მიეჭრა, გადაკოცნა და უთხრა: „მოხარული ვარ, რომ ვნახეთ, ხშირად გიყვარებო ტელევიზორში, გიყვარს თქვენი გაბედული გამოსვლები და დიდ პატივსაც გცემთო!“

ოტიამ მადლობა მოახსენა და ხუმრობით შეახსენა - ისე ხანდახან წიგნებსაც ქე ვწერო!

დაიხ, თუ წერდა საქართველოში ვინმე, ოტია წერდა, ახ ახლაც თუ წერს ვინმე, ოტია წერს.

ოტია იოსელიანის მოღვაწეობაზე, მისი წიგნების ღირსებაზე, მის განუყოფელად შემოქმედებისეულ გზაზე საუბარი, მარტვილის მუზეუმის თანამშრომლების ამოუწურავი თემაა.

შეიძლება გაზვიადებულად მოეჩვენოს ვინმეს ჩვენი ნათქვამი, მაგრამ მერწმუნეთ, რომ ეს სრული სიმართლეა და შეგვიძლია აქვე დავამტკიცოთ.

მაგალითად, ოტია იოსელიანის დიდ ეპიკურ ტილოში - „შავი და ცისფერი მდინარე“ - რომლის სრულყოფას მწერალმა 14 წელიწადი შესწირა, 364 პერსონაჟია ხორცშესხმული. მუზეუმელები იმასაც დავიდასტურებენ, რომ აქედან პირველ წიგნში მოქმედებს 77, მეორეში - 96, მესამეში - 95, და მეოთხეში - 96 გმირი. ნუ გაგიკვირდებათ და მუზეუმში ამ გმირების გვარების ჩამოთვლაც კი შეუძლიათ.

ამ რომანზე კიდევ გვინდა ორიოდ სიტყვაც დავძინოთ. „შავი და ცისფერი მდინარე“, ეს უზარმაზარი ეპოპეა ერთი, სამაგალიტო სიტყვის შემცველი ფრაზის გარეშე ტრიალებს: „ომში წასული არ ბრუნდება!“

როცა მწერალს ამ ჩვენი „ადმიჩენის“ შესახებ მოვახსენეთ და გკითხეთ - სხვებიც ასე თუ ფიქრობენო? - გაგვეხუმრა: - თქვენს მეტი მგონია საქართველოში წიგნს არავინ კითხულობს და ფიქრი საიდან უნდა მიუყვლიდეთ.

ჩვენ მარტვილებს გვეამაყება ისიც, რომ ოტია იოსელიანის გლობალური ქმნილების მთავარი მოქმედი გმირი, ყოველგვარი ადამიანური ღირსებებით შემკული პიროვნება, თვით ოტიაც ათასობით გმირებს შორის გამორჩეული პერსონაჟი ავთო ბოკერია ნახარებაოდანაა.

მადლიერი მუზეუმელები ყოველნაირად ვცდილობთ ვალში არ დავრჩეთ საყვარელი მწერლის წინაშე. მისი უკიდვანო შემოქმედების ზედმოწვევით დამუშავების შემდეგ მივალეთ ათასამდე აფორისიმის ამოკრებას, თემატურად გაწყობასა და ავტორისთვის მითრმეგას, მისი წიგნებიდან ასევე ამოკრებილი გვაქვს ორი ათასამდე იშვიათი სიტყვა, რომლის სრულყოფილად განმარტებაზე მუშაობა მიმდინარეობს.

გადაწვეტილი გვაქვს მწერლის უზარმაზარი არქივის დამუშავებისა და მცირე ზომის ორიგინალური წიგნის შექმნა, რომლის სახელწოდებაც ასე წარმოვადგენია „მსოფლიო აზრი ოტიაზე“.

ზურაბ დანელია

ამის დაბრუნების, ან დაბრუნების უფლება არც რუსსა აქვს და არც მართლმადიდებლებს!

(ნაწევრები ვასილ ველიჩკოს წიგნიდან "კავკასია")

1904 წელს, ამ წიგნის ავტორის ვასილ ველიჩკოს გარდაცვალების შემდეგ, მისი მოსწავლეების მიერ „კავკასიის“ წიგნად გამოცემა ძალზე ააფორიაქა მთელი პლანეტის სომხური მოსახლეობა. ინგლისში მცხოვრებმა სომეხმა დიდგვარმა გულბეკიანმა იმ დროისათვის ზღაპრული თანხა – უთუო მილიონი ფუნტი სტერლინგი (დღევანდელი კურსით, დაახლოებით სამასი მილიონი დოლარი) – გადაიხადა, რათა ამ წიგნის მთელი ტირაჟი გაყიდულიყო ამოღოთ და გაენადგურებინათ, მაგრამ, როგორც ხედავთ, ვერაფერს გახდა. თუმცა, სომეხებმა ნაწილობრივ მაინც მიაღწიეს საწადელს, რადგან წინამდებარე წიგნი გახლავთ ვასილ ველიჩკოს მილიან ნაშრომის პირველი ტომი, მეორე ტომი კი, საერთოდ აღარ გამოშვდა და, ჩვენი დიდი ძიების მიუხედავად, მაინც ვერ მოვახერხეთ მისი პოვნა. როგორც ჩანს, ამ ტომის ხელში ჩაგდება და განადგურება გარკვეული საზღაურის ფასად მაინც მოახერხეს სომეხებმა.

მესამე კატეგორიის ადგილები, პირდაპირ რომ ვთქვათ, საშიშ ზონას განეკუთვნებიან. ზოგიერთ ზონაში, როგორცაა, მაგალითად, ალაზნის ველი, ასევე მდინარე მტკვრის დატოვებული ნაპირები და მუდანიის სტეპის მაღარიული ადგილები, მუდმივ ჩასახლებაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება, განსაკუთრებით რუსი ხალხის იქ დაბინავებაზე, რომელთა ორგანიზმსაც აუთვისებიათ მაღარისადმი სოციალური მიდრეკილება გააჩნია. იქ შემოდგომასა და ზამთარში ყოფნაც კი საშიშია. ამ ტიპის ადგილებში, ოღონდ ნაკლებად უარეს და საშიშ ზონებში დასახლება, შეიძლება მხოლოდ რთვი პრობლემაქტიურად პირობების დაცვით, რომელთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია პიტიუტური საცხოვრებელი ბინის მოწყობას, ჭკობის ამოხრას, მაღარის საწინააღმდეგო ხეების (ყვავილიანების ზონებში) გაშენებას, ბრინჯის პლანტაციების გაუქმებას, მუდმივი საექიმო მეთვალყურეობის დაწესებას და სხვა.

რუსი ადამიანის დიდი შემეფეხობითი უნარის თვალნათელი დასტური გახლავთ ჩვენი სექტანტები, რომლებიც ყოველგვარი დამოკიდებულებით წარმოადგენენ ამ კუთხეში რუსული სახალხო ელემენტის ნაღებს.

როცა მათ აქ სახლებდნენ, ხელისუფალთ იმედი ჰქონდათ, რომ ისინი დაიდუკებოდნენ. ერთი დასახლება კვიან ვერდობზე, სადაც ხორბალი ცუდ მოსავალს იძლევა. სხვებს მაღარის ადგილები შეუჩინეს. გარშემო ნადირი დაძვინეს, მიყრუებული ახისი მხარეა, მტრულად განწყობილი ადგილობრივი მოსახლეობა. უფროსობა სექტანტებს ადიქამდა, როგორც ნახევრად ლეგალურ ხალხს, რომელთა არსებობაც არ უნდა წახლადნენ, მაგრამ, შეუძლიათ იარსებონ გარკვეული შეზღუდვებით; ისინი წარმოადგენენ ადგილობრივ ჩინონიკთა შემოსავლის წყაროს, რომელიც ძირითადად მკვიდრი მოსახლეობისგან შედგება.

სექტანტებმა ეს ყველაფერი გადაიტანეს, საკუთარ თავზე გამოსცადეს და საკუთარი მეურნეობის აყვავებაც კი შესძლეს მხოლოდ თემურ-რელიგიური ორგანიზაციის წყალობით. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ახლანდელ დუხობორთა წინაპრები სულაც არ იყვნენ ხელნაშეგებლები სიბორტის წინაშე, რასაც არ იხიარებდა ტოლსტოი და საპირისპირო ცნებას – შემეფეხებული ცხოვრების წესს სთავაზობდა დუხობორებს თავისი ფანატიკოსი თანაშემწეების მეშვეობით.


დუხობორული ეპოპის საფუძველში ძვეს ფორმალისში, რომე-

ლიც შეიძლება დაკავშირებული იყოს ცვიერ ანტირუსულ მისწრაფებებთან. დუხობორებს ჰყავდათ შესანიშნავი ქალბატონი ლუკერია კალმიკოვა, რომელსაც ისინი ანდობდნენ საზოგადოებრივი საქმიანობის გაძლიერებას და რომელსაც შესანიშნავი მატერიალური ბაზა შეუქმნეს: მისცეს ბრწინვალე ხახლი, მიწა, ყოველნაირი მიძრავი ქონება და ფული; იგი ჩულოდა წარსულში, საერთო ენას პოულობდა ხელისუფლებასთან, დიდი ტაქტით მიჰყავდა თავისი საქმე. თვით მხარის ხელმძღვანელიც კი ისე ექცეოდა მას. როგორც მაღალი წრის ქალბატონი.

დუხობორთა გავრცელება, მისი ქონება საზოგადოების საკუთრება იყო, და როცა ქალბატონი გარდაიცვალა, ქონება დუხობორთათვის საკუთრებაში უნდა გადასულიყო. გარდაცვლილის ქონებაზე შემეფეხებობის პრეტენზია მისმა ნათესავებმაც განაცხადეს. სასამართლო ინსტანციამ, საერთო სახალხო კანონებზე დაყრდნობით, ნათესავთა ძალადობრივი სურვილი დააკმაყოფილა. ამას განხეთქილება მოჰყვა, რამაც სამწუხარო შედეგებამდე მიგვიყვანა.

პატარა ბავშვიც კი მიხვდება, რომ მითითებული სასამართლო პროცესი არ შეესაბამებოდა ცხოვრების სიმართლეს და კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მრავალტომობრივ ერცულ სახელმწიფოში უფლებები ნორმების ერთფეროვნება სხვა არაფერია, თუ არა ადამიანური სულის წინაშე ჩადენილი დანაშაული და მას მიეკუთვნება არა სხვადასხვა გვარის ელემენტთა შემეფეხებულებისაკენ, არამედ პირიქით, უკანონობაზე აღმოცენებული განცალკევებულობისაკენ. თუ საკანონმდებლო ნორმებით შემოიკლია სასამართლოს სხვა გამოსავალი არ გააჩნდა, კავკასიის მთავარმმართველობას ყველაფერი უნდა ედონა იმისათვის, რომ აღნიშნული საკითხი მისი უაღვრესტოესი ხელმწიფის წყალობით უფრო კეთილზნებობივად გადაწყვეტილიყო, შემდეგ კი უნდა ეშუამდგომლა აღნიშნული კანონის შეცვლის თაობაზე.

ამ მიმართულებით არაფერი გაკეთებულა, არც მაშინვე, და არც შემდეგ: სომხური ინტრიგის თავკაცებმა აქ უკვე თავისი შხამი შეუშვეს, იპოვეს რა, როგორც ყოველთვის, ზოგიერთი კავკასიელი ხელისუფლის მხარდაჭერა. ერთის მხრივ, სომეხებს ხელს აძლევდა ხელისუფლების თვალში სექტანტებისათვის სახელის გატეხვა, რომელიც, ფაქტიურად, კავკასიის ყველაზე მაგარ რუს ელემენტად ითვლებოდა, მეორეს მხრივ კი, მათი მიწები გამოყენებინათ თურქეთიდან გადმოსული სომხებისათვის.



სომეხების წაქეზებით და გრიგორიანული ეკლესიის თავკაცობით ხელყოფილად მოხდა სიტუაციის დაძაბვა, რასაც მოჰყვა სომეხთა ხოცვა.

სატანური გეგმა განხორციელდა: ერთის მხრიდან მოცივდნენ ვითომ ქრისტიანები, გრაფ ტოლსტოის მოწაფეები, გააძვავეს განხეთქილება დუხობორებს შორის და იგი ისტერიამდე მიიყვანეს; ამასთან ერთად, მართლმადიდებლობის კომპაგებმა გააძლიერეს თავიანთი ქადაგება არც თუ ხელსაყრელ დროს, რამაც გაჯიუტებული დუხობორები კიდევ უფრო გაამკაცრა. ზოგიერთმა კავკასიელმა ხელისუფალმა სისხსტიკი განმოიხინა მათ მიმართ. ტრაგიკული დამთავრდა იმით, რომ რამდენიმე ათასი დუხობორი კანადაში გადაასახლეს, რასაც ისინი ვერ შეეგუებოდნენ უამრავი დაიღუპა.

თუ რა ბედი ეწოთა შემდგომში იმ დუხობორებს, რომლებიც დაემორჩილნენ მთავრობის მოთხოვნებს და კავკასიაში დარჩნენ, ძნელი სათქმელია. ყოველი შემთხვევისათვის, რუსეთის შუაგულში მათი დაბრუნების საკითხი მნიშვნელოვნად იქნება გადაადგებული აღწერილი დრამის გამო. ამასთან, მათი სარწმუნოება ძალზე შორს დგას ჩვენიგან, ამდგრადია, გამსჭვალულია მისტიციზმით და... მკიდროა, როგორც ყოველი უახრო და სულელური...

განუზომილად ახლოს დგანან ჩვენთან მალაკნები: მათი წმინდა წიგნი გახლავთ ბიბლიის ჩვენი სინოდალური გამოცემა. სამხედრო სავალდებულო სამსახურის ისინი ხალხით გადიან, ხელისუფლებას ემორჩილებიან, ამაყობენ მეფისადმი თავისი ერთგულებით და თავს რუსებად მიიჩნევენ. მართლმადიდებლებს ისინი უადრესად მეგობრულად ეყრდნობიან. მათ თავკაცობენ მედავითნეები, ან, უბრალოდ, შედარებით განათლებული ადამიანები, რომლებიც "სიყვარულის სადამოებზე" სახარებას კითხულობენ, ძალზე სშირად, ტექსტის დიდარ ზნეობრივი გაგებით. ისინი უპირატესად ფიზიკურ ცხოვრებას ეწვიან, მყარი ოჯახები აქვთ, უმეტესობა მოხერხებული ხალხია, სახრიანები და შეძლებულები არიან. სამხედრო წოდების ხალხის შემდეგ ისინი უდავოდ არიან უსაიმედოესი რუსი ადამიანები და საკუთარი თავიც ასეთად მიიჩნეა.

ტვილისში, მაგალითად, მალაკნების მდგომარეობა მართლაც ტრაგიკულია. მათი სახლები განლაგებულია მტკვრის მარცხენა სანაპიროს იმ ადგილებზე, რომელსაც "პესკები" ეწოდება. ამ ადგილზე მტკვრის კალაპოტი ვიწრო და მისრილ-მისრილია, მარჯვენა ნაპირი კი მაღალ კლდეს წარმო-

ადგენს. ამიტომ, წყლის დონის ოდნავი აწევაც კი მალაკნების სახლებს ტბორავს. განსაკუთრებით საშიშელი წყალდიდობის მოწმენი გავხდით 1895-96 წლებში. სახლები ნესტიანდებდა, ავეჯი და სხვა ნივთები ფუჭდებდა, ქუჩებში აუტანელი სიმყრალეა, მოსახლეობა ეპიდემიისაგან იტანჯება, დიდა ბავშვთა სიკვდილიანობა... არც აღმინსტრაცია, არც ქალაქი, არაფერს აკეთებენ ამ საშიშელებების აღმოსაფხვრელად. კარგად არის ცნობილი, რომ სომეხებს სურთ ამ ადგილებიდან მალაკნების გაძევება, რათა "პესკების" ნაწილზე ბაზარი ააშენონ, ნაწილში კი თურქეთიდან გადმოსახლებული სომეხები დააბინაონ, ახლა ბანდებდნენ რომ დაძვინებენ ქალაქში. მალაკანთა ნაწილი უკვე გადასახლდა საქართველოს სამხედრო გზაზე, მეორე ნაწილს კი სწამს, რომ ქალაქის მმართველობა ოდესმე ვინს მოეგება და ბედის ანაბარად არ მიადგებს საზოგადოების ამ შესანიშნავ ნაწილს.

კავკასიაში მცხოვრები ბევრი რუსი დარწმუნებულია, რომ მას არამც თუ არ "შეგაძენ" სამსახურებრივი მოვალეობისა და რუსული საქმის ზერეულ შესრულებისათვის და ეროვნული ღირსების შესახებისათვის, არამედ, შეიძლება წახალისონ კიდევ. მან კარგად იცის, რომ რომელიმე "ნავთობის მეფეს" ისეთი კავშირები გააჩნია კავკასიაშიც, იმპერიის დედაქალაქშიც და პრესაშიც, რომ იოლად შესძლებს მისნაირი საშუალო დონის ჩინონიკის გაღანძვასა და გაუბედურებას. შუახნის ჩინონიკს, რომელსაც ჰყავს მშობლები და ცოლ-შვილი, აუტანელი სიძვირის პირობებში არ ჰყოფნის ხელფასი და მას აუცილებლად დასჭირდება კარგი დიტი.

კავკასიაში კრედიტის აღება კი დამოუკიდებლობის დაკარგვას, ე.ი. პატიოსანი ადამიანის დასასრულს ნიშნავს. აუცილებელი პროდუქტები და კრედიტები სომეხთა ხელშია თავმოყრილი. ისინი სიამოვნებით გასცემენ კრედიტებს სომხური ბანკებიდან რუს მოსამსახურეებზე, ვალის გადაანგარიშება კი ხდება მეველის მიერ დაშვებული კომპრომისების გათვალისწინებით საკუთარი სინდისის წინაშე, რაც, შემდეგ მეველის სრული დამონებით სრულდება.

და მიუხედავად ამისა, კავკასიის ყველა უწყებაში, რუსული ინტელიგენციის ყველა შერეა და წრეებში არის ისეთი ნათელი ჭავრები, რომელიც მომდინარეობს, ასე ვთქვათ, არა ადამიანის თავიდან, არამედ მისი გულიდან, რომელიც უცხო სინდრომით არის გაწამებული. კავკასია, როგორც მთლიანად აღმოსავლეთი, ან ხრწნის ადამიანს, ან აწრობს მას. აქაური რუსი ხალხი, თავისი ბუნებით, ბევრად უფრო უკეთესია, ვიდრე სხანს. ისენით ისინი სომეხების მიერ ხელფერად შექმნილი მატერიალური სიმდიდრისგან, სახელისუფლებო პირობების მეშვეობით უთხარით რამდენიმე გამამხნეველები სიტყვა, ან გაზუთის მეშვეობით ესროლეთ რამდენიმე გამაერთიანებელი ფრაზა, და მივიღებთ ისეთ სურათს, რომელიც რუსეთს შეუძლია იამაყოს.

არის კიდევ ადამიანების კატეგორია, რომელიც შედარებით მრავალრიცხოვანია და ნაკლებად მანველი. მაგრამ, საბოლოო ჯამში ისინი მაინც უარყოფით შთაბეჭდილებას სტოვებენ. ესენი

არიან გონებრივად და ფიზიკურად პასიურად "გააკეცა სიუღლებული" ადამიანები, რომელთაც იყნოსეს გამხრწნელი აღმოსავლური საზოგადოების სიმყრალე, შეეგუენ ამა თუ იმ საბაგლობებს და მცირეოდენი დოხით ლევანტიტურ მსოფლმხედველობასაც ეხიარნენ. მათ უყვართ კახური ღვინო, თევზი-შამია, ახალი ხიზილადა, ნაყინი, თამამი ანეკდოტები, როგორც სიტყვით, ასევე საქმით, პანქოში ფულის მოგება და ა.შ. ისინი ისაძილებენ ნებისმიერთან, ოღონდაც ფიზიკური მდგომარეობა მათ ნატურას ელამუენობდეს, რომელიც ესოდენ გააფაქიხა სამხრეთულმა კლიმატმა. თუ ადამიანმა, რომელსაც ისინი იცნობენ, ჩაიღინა რაიმე დანაშაული და პასუხი აგებინეს, ისინი ადგილობრივ მკვიდრთათვის დამახასიათებელი პათოსით იტყვიან: "ომ, ეგ უბედური, კვსაწყალი...". თუ რომელიმე მოკრძალებულ ქალბატონს, რომელიც ადრე არ ჩანდა მისი მეუღლის დაბალი საზოგადოებრივი მდგომარეობის გამო, ყურადღებას მიაქცევს რომელიმე მაღალი წრის წარჩინებული წარმომადგენელი, მაშინ, მითითებული წრის ადამიანები წამსვენ გახვევენ ამ ქალბატონს პატივისცემის ატმოსფეროში. უფრო მეტიც, კავკასიის მითითებული საზოგადოება პატივისცემით ეყრება ვიგინდარებს, რომელთა შესახებაც იციან, რომ მათი მხარდამჭერები უფრო მაღალი მდგომარეობის ხალხია.

უხერხული იქნება, რომ კავკასიის ინტელიგენციის შევლდებზე ვისაუბრო და მათთვის არასასიამოვნო დასკვნები არ გავაკეთო. მე მქონდა ბუნდირება, დაეწმუხნებულთაგან, რომ მას ღრმად რუსული გული აქვს, რომელიც მზადაა გამოეხეპროს ყოველ გულწრფელ წამოწყებას. უცხო წრეში, უცხო საუბრების მოსმენით, იგი თანდათან ივიწყებს მშობლიურ ხალხს, მაგრამ მან მაინც დიდი ხალხით დაუჭირა მხარი ხალხს საჭიროებებს, გადმოსახლებულთა პირველი ნაკადის გამოჩენისთანავე.

არ უნდა განვიკითხოთ ეს ხალხი და არც ის უნდა ვიფიქროთ, რომ კავკასიაში ძალზე წამსვენება და მისი გამოსწორება არ შეიძლება. თუ რამეა მგელი, ამასთან მიმართებაში, ეს გახლავთ საქმიანდმი რუტინული მიდგომის სტერეოტიპის დამსხვრევა და საქმეში ჩამდგარი ხალხის დარწმუნება, რომ აუცილებელია გამაჯანსაღებელი მუშაობის დატეხვა, დაბოლოს, ამ უკანასკნელთათვის უნდა შექმნავდეს ღრმად გააზრებული მწყობრი პროგრამა.

ასეა თუ ისე, ყოველივე ამის გაკეთება მაინც მოგვიწევს. თუ მიდინარეს დადახერხავს ნაპირიდან მომხდლეული მიწა, ან ჩამოტანილი ნაგავი, მაშინ არ უნდა გვეგონოს, რომ სტიქიური პროცესის დროებით შეწყვეტა მის სამუდამო შეწყვეტას ნიშნავს.

ნაციონალური სამუშაო მთლიანად სტიქიური არ გახლავთ. სამშობლოს მოყვარულ ადამიანებს იგი აძლევს მშობლიური მდინარის კალაპოტის გაგანიერებისა და წინააღმდეგობის გაწევის საშუალებას, რათა ადგილი აღარ ჰქონდეს ადამიანთა ტანჯვას.

რუსული მდინარის შეჩერება კი შეუძლებელია: მას ეკუთვნის მომავლის სივრცე, ისეთივე თვალშეუდგამი და უსახლდრო, როგორც რუსული ძალა.

(დასასრული)

სასნაული, როგორც რეალობა...



2009 წლის 18 სექტემბერს თბილისში, ტატიოშვილის ქუჩა №36-ში გაიმართა პრესკონფერენცია, რომელიც მიეძღვნა სახალხო სამკურნალო დარგის ერთ-ერთი პატრიარქის, ბიჭიკო (დომენტი) გაგნიძის მიერ შექმნილ სასწაულმოქმედ სამკურნალო პრეპარატებს **“დომენტოლსა”** და **“გაგელონს”**. პრესკონფერენციას ესწრებოდნენ ქართული კლასიკური მედიცინის თვალსაჩინო წარმომადგენლები, პროფესორები **მაია ბერიძე** და **გია მაცაბერიძე**. ბედიანის ფსიქონევროლოგიური საავადმყოფოს მთავარი ექიმი **აფთხიანი ვანაძე**, ზაზა ფანასკერტელი სახელობის სამედიცინო კოლეჯის დირექტორი, პროფესორი **გურამ ხაჭაპურიძე**, სამხედრო ექიმი **გადაუდებელი** ქირურგის დარგში **დავით მეტრეველი**, ეურნალისტი **გიგლა გობეჯიძე**, წყნეთის კვლევის მოძღვარი **მამა იოანე**, მედიცინის დარგის წარმომადგენლები **მაყვალა ჩირიკაშვილი** და **ოთარ მჭედლიშვილი**, საპატიო დოქტორები **როლანდ ჯალაღანია** და **დავით ქობალია**, ექიმი **მარინა დუნდუა**, პაციენტები, რომელთაც უმძიმეს დაავადებებს თავი დააღწიეს სწორედ გაგნიძის მიერ შექმნილი პრეპარატების წყალობით.

პრესკონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა მწერალმა **როლანდ ჯალაღანიამ**. მან აღნიშნა, რომ უამრავი ადამიანი დაიხსნა სიკვდილის კლანჭებისაგან ბიჭიკო (დომენტი) გაგნიძემ. სხვას რომ თავი დაეხრებოდა, ამას ათასობით მადლიერების გამომხატველი წერილი ადასტურებს, რომელსაც მორჩენილი პაციენტები უზაზვნიან სახალხო მკურნალს. ამ ბარათებში სრულადაა გადმოცემული ბიჭიკო (დომენტი) გაგნიძის მიერ გამოჯანმრთლებული ადამიანების სულისკვეთება და მადლიერების ის ვებგვერდი გრძობა, რასაც საწოლს მიჯაჭვული და შემდეგ გამოჯანმრთლებული პაციენტები გამოხატავენ მათი გასაჭირისაგან მხსნელის მიმართ. მართლაც დიდია სახალხო მკურნალის მიერ ქმნილი სიკეთე. ცნობილი ამერიკელი კინორეჟისორის სტივენ სპილბერგის მიერ შექმნილ კინოფილმში **“შინდლერის სია”** მოხმობილია სიტყვები ებრაელთა წმინდა წიგნ თორაიდან: **“თუ შენ ერთი ადამიანის სიცოცხლე მაინც გადაარჩინე, მაშინ შენ გადაარჩინე მთელი მსოფლიო!”** სწორედ სასიკვდილოდ განწირულთა გადარჩენისათვის შერაცხა შინდლერი იდეურმა სარწმუნოებამ წმინდანად. ვინ მოსთვლის, რამდენ ადამიანი გადაარჩინა უეჭველ დაღუპვას და დაუბრუნა სიცოცხლის ხალისი ბიჭიკო (დომენტი) გაგნიძემ თავისი სამკურნალო მოღვაწეობის მანძილზე, რამდენი სიცოცხლე იხსნა და, აქედან გამომდინარე, რამდენჯერ იხსნა მან მსოფლიო სიკვდილის ბასრი კლანჭებიდან.

დღეს, მიუხედავად გარკვეული წინააღმდეგობებისა, ავტორიტეტულ მეცნიერ-ექიმთა უმეტესობა აბსოლუტურად დარწმუნებულია გაგნიძის მიერ მართლაც სასწაულმდებარე და აუხსნელად მიგნებული პრეპარატების ქმედითუნარიანობაში და თვლის, რომ იგი უადრესად ეფექტურია დაავადებისაგან მისუსტებული ადამიანის იმუნიტეტის გაძლიერების საქმეში, რაც

გადამწვევტი გახლავთ თვით ყველაზე მძიმედ დაავადებული ადამიანის მკურნალობისას. ერთი შეხედვით, მართლაც დაუჯერებელია, რომ ერთადერთმა პრეპარატმა უამრავ მძიმე დაავადებას უმკურნალოს, რომელთა მეტი წილი მოურჩენლად და საბედისწეროდ არის აღიარებული მსოფლიოს კლასიკური მედიცინის მესვეურთა მიერ. თუმცა, ბატონი ბიჭიკო ამაში უცნაურს ვერაფერს ხედავს და განმარტავს, რომ ყოველი ამქვეყნიური სიცოცხლე ბუნების წიაღიდან მოდის და მისი პრეპარატების საიდუმლოც ბუნების მიერ **“ბუნებრივად გამოყვანილი”** ყვავილები და ბალახებია, რომელთა ფარმაცევტული შესაძლებლობა კაცობრიობის მიერ ჯერ კიდევ ზერელედ არის შესწავლილი. გამონაკლისი მხოლოდ რამდენიმე სახალხო მკურნალია, რომელიც ღმერთმა მოუვლინა მხსნელად იმედგადაწურულ დაავადებულებს, თუმცა, ამის თაობაზე ოდნავ ქვემოთ...

და კიდევ ბიჭიკო (დომენტი) გაგნიძის მიერ შექმნილი პრეპარატის ერთი, ყველაზე დიდი დიდი საიდუმლოც – ავადმყოფი ადამიანების რწმენა და მათი ბრძოლისუნარიანობა დიდი იმედი წამლობისადმი, რადგან თვით ყველაზე ძლიერი სამამულო თუ უცხოური პრეპარატიც კი ვერ შესძლებს სასიკვდილო სენის დამარცხებას წამლისადმი დიდი ნდობისა და სიცოცხლის დაუთმევველი ღირსი გარეშე. პრესკონფერენციის მონაწილე მედიკოსებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ გაგნიძის მიერ მინდვრის ბალახებზე დამზადებული საინექციო პრეპარატები მართლაც სასწაულმოქმედია და, როგორც გაგნიძის ამ ნომრის მეორე გვერდზე აღნიშნული, ძალუბს ისეთი მძიმე დაავადებების მორჩენა, როგორცაა **სიმინიური სენი, კუჭ-ნაწლავის გაუფაღობა, კოლიტი, ფისტულა, პროსტატიტი, ბუასილი, ნერვის ანთება, ნევროზი, ფსიქიკურად დაავადებულები, პარკინსონი, ასთმა, ჩიყვი, გულისა და თირკმელების დაავადებები, პრეპარატი სპობს აზოტს თირკმელში, ჰეპრატის გაფანტული სკლეროზი და შიდსი, შველის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ოსტეოკონდროზს, გაიმორტიკს, სისხლის გათვრებას, სეფსისს, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, C-ჰეპატიტს, ბოტკინს, ელენის, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, ქლამიდიას, კლიმაქსს, წყურულს, ფსორიაზს, სასსრების დაავადებებს, კაილეფსიას, ამყარებს სხეულის იმუნიტეტს, ახდენს თავის ტვინის უჯრედების აღდგენა-შენარჩუნებას, დადებითად მოქმედებს სექსუალურ დარღვევებზე და ნარკოტიკებთან დამოკიდებულებებზე.**

მაგრამ ხაზი გაესვა იმ გარემოებასაც, რომ პრეპარატი ჯერჯერობით არ არის გამოკვლეული მეცნიერულად, არაა დადგენილი დაავადებებზე ზემოქმედების ფორმები, ამის გაკეთება კი დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. ისიც აღინიშნა გულისტკივილით, რომ ხელისუფლება ჯეროვან ყურადღებას არ უთმობს ჰემ-მარიტად საუკუნის მიგნებას, რადგან პრეპარატი თითქმის შეუძლებელს აკეთებს ონკოლოგიაში – თავისუფლად უმკლავდება პირველ და მეორე სტადიებს, ხშირად, მესამე სტადიაში მომძლავრებულ სიმსივნის მეტასტაზებსაც კი სპობს და რამდენიმე კურსის ჩატარების შემდეგ სასიკვდილოდ განწირული ადამიანი ცხოვრების ჩვეულ რიტმს უბრუნდება.

დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რასაც ადასტურებს მისადმი მიწერილი, უამრავი, უიმედო სენისაგან განკურნებული ადამიანის სამადლობელი ბარათი. იგივე მადლობის სიტყვებით იწყებდნენ თავიანთ გამოსვლებს პრესკონფერენციაზე ბიჭიკო (დომენტი) გაგნიძის მიერ შექმნილი პრეპარატი განკურნებული პაციენტები. **თეიმურაზ ესართია** (მსახიობი): პროსტატიტის ჯირკვალი იმდენად მქონდა გადაიდებული, რომ ოპერაციისათვის ვეზადებოდი – მეორე დღეს უნდა წავსულიყავი საავადმყოფოში. მეზობელმა რომ გაიგო, გაგნიძისთან მიხვედ მირჩია. კიდევ კარგი დაუჯერე. პირველი ორი ფლაკონის გაკეთებისთანავე ჯირკვალს

ნორმალური სიდიდის გახდა და წლობით ნატანჯმა ადამიანმა მშვიდად ამოვისუნთქე...

ჯოხაძე: ცეროზის დიაგნოზი რომ დამისვეს, ოჯახის წევრებმა ემოციები ვერ მოთოკეს და ლამის ცოცხლად გამომიტირეს. კარგად ვიცოდი რასაც მიქაძდა ეს მძიმე სენი და მეც სიკვდილს შევეურიცდი. მუცელში წყალი ჩამიდგა, სარკეში ჩახედვა არ მინდოდა, ადამიანის სახე მქონდა დაკარგული. მერე ვიდაც ქრისტიანმა ბიჭიკოსთან მიმსწავლა. სასწაულის არა მჯერა, მაგრამ გაგნიძის წამალს რომ სასწაულის მოხდენა შეუძლია, ჩემს მაგალითზეც დარწმუნდება ადამიანი. რამდენიმე ფლაკონი მისი წამალი გავიკეთე, წყალი ამოშრა და ღვიძლი ნორმალური ფუნქცია აღიდგინა. ვიცი, ბატონი ბიჭიკო გამოწვევა, რადგან ღვინის დაღვევა ამიკრძალა, მაგრამ ზოგჯერ სუფრასთან თამაშობა მიწევს, ქართულ სუფრაზე თამაშობა კი ღვინის დაუღვევად არ შეიძლება. დაავადებისაგან ისე ვიყავი გაწამებული, რომ ვერა-სოდეს წარმოვიგენდი თუ ნორმალურ ცხოვრებას დავეუბრუნდებოდი, მაგრამ, ახლა თქვენს წინაშე ვარ საღსალამათი ადამიანი, რომელიც ერთი წლის წინ სიკვდილ-სიცოცხლის ის მიჯნაზე იდგა...

ციცო აბუნდაძე: ჩემი მეუღლე დიპტეისაგან იტანჯებოდა. რა არ გაეკეთებოდა, მაგრამ ვერაფერს გაეხდით, ექიმები დამამიედებლეს ვერაფერს გვეუბნებოდნენ, ერთადერთი, რასაც ოდნავი შვევის მოცემა შეეძლო, იქნებოდა ის, რომ ახალგაზრდა კაცი მთლიანად ინსულინიზე იქნებოდა დამოკიდებული. მდგომარეობა უცებ დამიძლია, ფეხებში სისუსტე იგრძნო, შემდეგ დაუსივდა და შავი ფერი დაელო, აუტანელი ტკივილები სტანჯავდა და ძილის საშუალებას არ აძლევდა, სიარული აღარ შეეძლო და ტუალეტშიც კი ხელით დაგვეყავდა – იმედი საბოლოოდ გადაგვეწურა, როცა მოვხვდით, რომ განგრენა იწყებოდა. ერთადერთი გამოსავალი ქვედა კიდურების ამპუტაცია იყო – ოგი დაინვალიდებოდა, მაგრამ გარკვეული ხნით გაუხანგრძლივებოდა სიცოცხლე. სწორედ ამ დროს მოვიდა მეზობელი ამ მოვითხრო გაგნიძის სასწაულმოქმედი წამლის შესახებ. იმდენი ექიმის ხელში გამოვიარეთ უშედეგოდ, რომ, სიბართლევით ხართ, თავიდან არც კი მეჯერა თუ ამ დაავადებას რამითი გადავლახავდი, მაგრამ მართლაც სასწაული მოხდა – რამდენიმე ნემსის გაკეთების შემდეგ ტკივილი გაუქრა და დამოუკიდებლად სიარული შესძლო. ჩვენ მე-14 სართულზე ვცხოვრობთ. მეუღლე ერთხელ ლიფტით ჩავიდა დაბლა და დენი გაითიშა. რაოდენ დიდი იყო ჩვენი გაოცება, როცა ვნახეთ, რომ მეუღლე თავისი ფეხით ამოვიდა ამხელა სიმაღლეზე. სწორედ მაშინ ვიწამეთ სასწაული, სიხარულისაგან ცრემლებს ვერ ვიკავებდით. ჩემმა მეუღლემ ბოდიში მოვიხადათ, რადგან სამსახურეობრივი საქმის გამო ქალაქიდანაა გასული და დღეს აქ მოსვლა ვერ მოახერხა. მე კი უღრმესი მადლობა მინდა მოვახსენო ბატონ ბიჭიკოს, რომელმაც სიცოცხლის ხალისი დაგვიბრუნა იმედგადაწურულ ადამიანებს...

სვანტიე ეკატერინე: ყველას კარგად მოეხსენება, თუ როდენ ვერაგი დაავადება გაფანტული სკლეროზი. ნაადრევი სიკვდილის მხსვერპლად ჩავთვალე თავი, როცა ექიმებმა ეს დიაგნოზი დამისვეს.

ქვედა კიდურები თანდათან მიბუქებოდა და მალე მთლიანად ლოკის მივეჯაჭვე, გადაადგილება აღარ შემიძლო. მხოლოდ სოლუმედროლის გადასხმებს ვიკეთებდი, რათა დაავადების რემისირება მომხდარიყო. სოლუმედროლი კი, როგორც მოგეხსენებათ, პორმონების შემცველი პრეპარატი, რაც, საბოლოო ჯამში, კარგს არაფერს უქადის დაავადებისაგან ისევე დასუსტებულ ორგანიზმს. სწორედ ჩემთვის ასეთ მძიმე ჯამს შევიტყვე ბატონ ბიჭიკო გაგნიძისა და მის მიერ გამოგონებული სასწაულმოქმედი პრეპარატის არსებობის თაობაზე. სულ რამდენიმე ინექცია დამჭირდა, რომ თავიდან ამეღება ფეხი. ახლა კი, თქვენს წინაშე ვდგავარ აქ ჩემი ფეხით მოსული და, როგორც ხედავთ, მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი მაცვია, რახედაც ამ რამდენიმე თვის წინ ოცნებაც კი არ შემიძლო. დიდი მადლობა ამისათვის თქვენ, ბატონო ბიჭიკო...



მანანა მარცვალაძე: მეც ზუსტად იმ მდგომარეობაში აღმოვჩნდი, რახედაც ჩემს წინ გამოსულმა ქალბატონმა ისაუბრა. გამოსავალს ვერ ვხედავდით, ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობა კი დღითიდღე უარესდებოდა და ერთ დღესაც ლოკიდან ვერ წამოვდექი. მეც და ჩემი ოჯახის წევრებიც სასოწარკვეთილებამ მოგვიცვა, მაგრამ მწუხარება და ტირილი საქმეს ვერ შევლის, და ჩვენ მაინც ღვთის იმედად ვრჩებოდით. სასწაულმაც არ დააყოვნა – ახლობლების რჩევით ბატონ ბიჭიკო გაგნიძისთან მივედით და რამდენიმე ინექციის გაკეთების შემდეგ მე უკვე საბოლოოდ განვიკურნე. ექიმები გაოცებას ვერ მალავდნენ, როცა ბირთვული ტომოგრაფის შედეგებმა ტვინის უჯრედების აღდგენის ფაქტი დაადასტურეს. კლასიკურ მედიცინას ხომ ამაზე ოცნებაც კი არ შეუძლია. მე არ ვიცი რას უწოდებენ ამას სპეციალისტები, ჩემთვის კი ეს ღვთის წყალობაა – მეორედ დაბადება.

მამა იოანე – უამრავი მეცნიერულად აუხსნელი მოვლენა, რომელსაც ჩვენ სასწაულს ვუწოდებთ. სწორედ ამ სასწაულს უნდა მივაკუთვნოთ ბიჭიკო გაგნიძის პრეპარატი, რომელსაც სიხარული გამოეცხადა ღმერთი და მიანიშნა, რომ ამ ბალახებისაგან შესძლებს წამლის გაკეთებას და ადამიანების განსაცდელისაგან დახსნას. ეს კიდევ ერთხელ გავრწმუნებს, რომ საქართველო ჰემარტიკად ღვთისმშობლის წილხედრი ქვეყანაა, რადგან მის მიწაზე ხარობს ის ბალახეული, რომელსაც სიკვდილის დამარცხებაც კი ძალუბს...


პრესკონფერენციის მონაწილეებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ საჭიროა მწვანე გზა მიეცეს გაგნიძის მიერ შექმნილ მართლაც სასწაულმოქმედ პრეპარატებს, რადგან მისი აუდიარებლობა აზარალებს არა მის ავტორს, არამედ უამრავ ჯანმრთელობა შერყეულ და იმედგადაწურულ ადამიანს, რომლებიც ათასობით ღარს ახმარენ არაეფექტურ პრეპარატებს და უშედეგო მკურნალობას.

ჩვენი გაზეთის მკითხველებს კი კიდევ ერთხელ ვაცნობებთ მკურნალის კოორდინატებს: **თელავი, კაგასიონის ქუჩა №61-ბ, გაგნიძე ბიჭიკო (დომენტი). ტელ: 893-22-66-51 8(250) 7-61-24, თბილისი, აჭყურის 31-ა (მეტრო “ისანთა”), ბათუმი, ასათიანის 11, (ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს, 10-დან 14 საათამდე).**

ჯ. კახნიაშვილი



სამეგრელო და სვანეთი



ამ წიგნის ავტორის, კორნელი ბორჯინიანის სამსახურებრივი კარიერა კავკასიაში დაიწყო. იგი ჯერ მთავარმართებლის კანცელარიაში მუშაობდა, შემდეგ კი (1854 წელს) სამეგრელოს დედოფალთან მიაგლინეს მიწურ-მოწურის საწარმოებლად და მისი შვილების აღზრდელად. 1858 წელს დაინიშნა სენაკის ოლქის უფროსად, სადაც 1867 წლამდე იმსახურა. სწორედ აქ გაეცნო იგი სამეგრელოს მოსახლეობის ყოფას, რომელიც საინტერესოდ აღწერა თავის წიგნში. ბორჯინიანის მოგონებებში საკმაოდ ერცლად არის გადმოცემული ოსმალეთის ჯარების მიერ სამეგრელოს აწიოება, რომელიც შემდეგ რუსმა ჯარისკაცებმა აღაგმეს.

კორნელი ბორჯინიანი

მაგრამ გაგონის მართვა-გამგეობის იმ მშვენიერ ხანას ღრუბელი გადააფარა 1853 წელს ყირიმის ომმა. ეს ომი ამ მხარისთვის დაიწყო. ოსმალები გამოვიდნენ შავი ზღვის ნაპირას ჩოლოქის სიმაგრეში, ამოწყვეტეს აქაური გარნიზონი, რომელსაც უფროსობა კაპიტანი შერბაკოვი, და ამას მოჰყვა საერთო სამხედრო მოქმედება. გაგარინის ჩააბარეს გურულთა რაზმის უფროსობა. ოსმალებთან შეტაკებაში რამდენჯერმე გამიარჯვა კიდევცა, მაგრამ როცა მოსალოდნელი გახდა წამოსვლა ოსმალთა დიდის კორპუსისა, გაგარინის თავისი ადგილი უნდა დაეთმო უფრო გამოჩენილ და გამოცდილ სტრატეგ ანდრონიკაშვილისათვის, თვითონ კი მე-13 დივიზიის უფროსობა იკისრა.

ერთი წლის შემდეგ, ყარსთან, მარცხით იერიშის მიტანის დროს, სადაც იმყოფებოდა მისი დივიზია, გაგარინი მიიმედა დაიჭრა მარცხენა მხარეში, ტყვედ მიტანილი გაუარა კისერში. დაჭრილი ნახევრად მკვდარი გაიტანეს ბრძოლის ველიდან და დიდხანს მეტად საშიშ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ცოტათი რომ მოიკეთა ექიმებმა სახედავარეთ წასვლა ურჩიეს და ისიც მეუღლითურთ იქითკენ გაემგზავრა.

მთელი წელიწადი პარიზსა და წელეზზე დაჰყო და სამშობლოში 1856 წელს დაბრუნდა. გადაწყვეტილი ჰქონდა სამსახურიდან გამოსულიყო და დასახლეობულიყო თავის ყირიმის მამულში ქუჩუკ-დამბათში, სამხრეთ ნაპირის ამ კალმით დახატულ კუთხეში. ვორონცოვი ამ დროს გარდაიცვალა, უიმისოდ კი სამსახურში დარჩენა გაგარინისათვის ყოველივე ინტერესს მოკლებული იყო. ხანიც დასვენებას უთქმევდა, უკვე 60 წელს იყო მიტანილი და ამასთანავე ყური უნდა ევდო საკუთარ მამულისათვის, რომელიც სრულებით თავმინებებული იყო სამსახურის დროს.

და ან ესეთს წუთას და ასეთს გუბნებაზე მყოფს შეხვდა თავადი ბარიატინსკი, რომელიც თავისთვის ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს დაქმნებდა. თვით ბედმა უხვენა ბარიატინსკის გაგარინი.

როცა ბარიატინსკიმ გაუხიარა განზრახვა მისი წამოყვანისა, გაგარინმა ცივი უარი უთხრა, პირველ წუთას ახლოსაც არ იკარებდა მის ნათქვამს და თავის უარს ასაბუთებდა კიდევ მრავალის საბუთებითა; მაგრამ ბარიატინსკი კერპი და გაუტყხელი კაცი იყო და რასაც მოინდომებდა, უეჭველად გაიტანდა. იერიში მიიტანა რა თქმა უნდა მეტად მეგობრულს და ქების სიტყვებით და ისე მოახერხა რომ ხელმოწიფემ თვითონ მიიწვია გაგარინი თავის ახალ ნაცვლის თანამშრომლად. ამასთან რა თქმა უნდა აგრძნობინეს, რომ მისი სამსახური

განსაკუთრებულად ხანგრძლივი არ იქნებოდა; იმედი ჰქონდათ, ორ-სამ წელიწადში კავკასიის დაპყრობა დასრულდებოდა, და მერე ამას მოჰყვებოდა მისი დასვენებაცა და განსაკუთრებული პატივიცა. ბოლოს და ბოლოს გაგარინი დაიყოლიეს, და რაკი თავისი თანხმობა განაცხადა, ისევე გამხნედა, გაემაწვილა და 1857 წლის თებერვალში უვე ქუთაისში ჩამოვიდა, სადაც მთელი მოსახლეობა აღტაცებით დაუხვდა.

მისი შტაბის უფროსად დანიშნულ იქმნა გენერალურ შტაბის ლეგიონის უფროსი ბარონი პეტრე კარლოს ძე უსლარი. მისი დანიშვნა მოხდა ალბათ ბარიატინსკისა და გაგარინის ერთად მოლაპარაკებისა და შეთანხმების შემდეგ.

უსლარი ბევრნაირად დიდი პიროვნება იყო. მტკვრელი მემკვიდრე, საინჟინრო სასწავლებლის მოწაფე, რომელიც შემდეგში გენერალურ შტაბის აკადემიაში შევიდა და მისი კურსი ჩინებულად დაამთავრა, იმავე დროს თავისუფალ მსმენელად იყო სანქტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის საინსტრუქტორი-საფილოლოგიო ფრაგმენტისა, მერე უცხოეთის რამდენსამე უნივერსიტეტში ისტორიისა და ფილოლოგიის სხვადასხვა კურსებს ისმენდა, და ყველა ამის წყალობით დიდის ერუდიციის პატრონი იყო, იცოდა ევროპული ძველი და ახალი ენებიც და ორი ენაც აღმოსავლეთისა: ოსმალური და სპარსული. ამავე დროს მეცნიერების მრავალი დარგი მრავალმხრივ და საფუძვლიანად ჰქონდა გაცნობილი თან ნიჭი ჰქონდა მეტისმეტის სიადვილით და მკაფიოობით გამოეთქვა თავისი აზრი და ამის წყალობით იგი იყო არა მარტო შესანიშნავი რედაქტორი, არამედ ნიჭიერი მწერალიც. ბაასში მეტად ენამახვილი იყო ემარჯვებოდა მშვენიერად ლაპარაკი და თავის ნათქვამს სულ ადვილად გარწმუნებინებდათ. მის პროექტები, წინადადებანი, განმარტებითი მოსხენებანი პირდაპირ ნიმუში იყო ლოდიკურად აზროვნებისა და ნაფიქრნააზრის ოსტატურად გამოთქმისა.

სამხედრო აკადემიაში სწავლის დამთავრების შემდეგ უსლარს რამდენიმე მივლინება ჰქონდა სხვადასხვა ადგილებში იმპერიის სამხედრო-სასტატისტიკო აღსაწერად და სხვათა შორის მოგზაურობდა დასავლეთ ციმბირშიაც. ორმოციან წლების ნახევარში, ვორონცოვის დროს უსლარი გადმოვიდა კავკასიაში, 10 წელიწადზე მეტ ხანს მსახურობდა აქ და ამ ხნის განმავლობაში ძალიან კარგად გაიცნო მხარე. შემდეგში უსლარი კავკასიის ისტორიოგრაფი გახდა, შეისწავლა რამდენიმე კილოკავი მთიელებისა, შეუდგინა ამათ ანბანი და გრამატიკა, და დასტოვა მრავალი სამეც-

ნიერო ნაშრომები, რომლებიც სამწუხაროდ დღემდე გამოცემული არ არის.

მართალია, პატივისცემით ვისხენიებთ ამ მალანტიკურის კაცის ხსოვნას, მაგრამ სიმართლე მოითხოვს არ გაეწმედეთ, მოვიხსენოთ მისი ნაკლულევაანებანიცა. პირველი მათგანი ის იყო, რომ უსლარს თავის თავისმოყვარეობა განსაკუთრებულ კულტადა ჰქონდა გადაქცეული. დიდის ცოდნის პატრონი იყო და ამ ცოდნის გამოყენებაც ემარჯვებოდა და ხშირად არ შეხედებოდა ისეთ მოწინაღმდეგეთ, რომელთაც მასთან კამათი და პასუხის გაცემა შესძლებოდათ. ამან გაანებოდა უსლარი და ბოროტად ხმარობდა თავის არგუმენტაციას. რაც უნდა აშკარა შეცდომა მოსვლოდა, შესაძლებელი იყო ელიარებინა და თვის საშინელი არგუმენტაციის კორიანტელს დააყენებდა ხოლმე. ყოველთ უწინარეს და ყველაფერში იგი თეორეტიკოსი იყო, საცა სამართალი იყო, ის მსწავლულის კაბინეტში უნდა ყოფილიყო ჩაკეტილი, იქიდან არ გამოსულიყო და სამეცნიერო კვლევადიება ეწარმოებინა; ის კი რაღაც უცნაურ წინააღმდეგობებით უმეტესად ესწრაფოდა ყველაზე ცოცხალ და მოძრავ სამხედრო საქმიანობას. ნამდვილად კი უსლარი სამხედრო კაცად თავის დღეში არ ყოფილა, და თუ იყო, იყო უმეტესად მოლაშქრე. კავკასიაში უსლარს იცნობდნენ როგორც კაცს, რომელიც სამუდამოდ ასრულდება შტაბის უფროსის თანამდებობას სხვადასხვა რაზმებში, სთვლიდნენ მეცნიერად და ამავე დროს უარს ვერ ჰყოფდნენ იმ გარემოებას, რომ საცა კი ის მოექცეოდა რაზმში ყველაზე უეჭველად რაიმე საბუდისწერო მარცხი და უბედურება უნდა მომხდარიყო. მაგალითად, როცა უსლარი სლევკოვთან მსახურობდა სუნჯაში – სლევკოვი იქ მოჰკლეს; მსახურობდა თავად მელიქოვთან, ლეკების წინააღმდეგ – შამილმა გაარდგია ხაზი და დაარბია კახეთი, ტყვედ წაიყვანა თავად ჭავჭავაძის ოჯახისა; მსახურობდა თავად მუსხრანბატონთან გურულთა რაზმში – ომერ-ფაშამ ცხვირპირი დაამტკროს ამ რაზმს და დაიკავა სამეგრელო; ან და თავად გაგარინის დროს... მაგრამ ეს ამბავი წინ გვიდევს და მისი ვილაპარაკოთ, როცა იმამდე მივალთ. უსლარის თავყვანისმცემელი ყველა ამ მარცხს შემთხვევას აბრალებენ, მაგრამ ყოველივე ეს მწარედ აღონებდა არამც თუ სხვებს, თვით უსლარს ცუდ გუნებაზე აყენებდა. თუ ამ საქმიანობის დროს, ისე კერძოდ უსლარი მიუკარგებელი იყო, დადრეჯილი, თუ ბაასის დროს ღვირი არ განჩნდებოდა დასავლეთ. ღვირი-კი, სამწუხაროდ, ძალიან უყვარდა და ხშირათა სვამდა. ღვინის სმისგან ბევრი ნიჭიერი ხალხი დაგვეღუპა და მათ შორის უსლარიც; სამოცდაათიან წლების ნახევარში უსლარი თავის სოფელში ცხოვრობდა, მეტისმეტი სმისაგან უცბად გაევიდა (*delirium tremens*) და თან გადააჰყვა.

მაგრამ გაგარინისთვის უსლარის ნაკლი არ არსებობდა. მისთვის უსლარი იყო გენერალურ შტაბის გამოცდილი ოფიცერი, დიდათ განათლებული და ნიჭიერი, და გაგარინი, როგორც რბილი ხასიათის კაცი, მის ავტორიტეტის წინაშე მუხლს ადვილად იდრეკდა. ყველაფერს უსლარსა ჰკითხა, უიმისოდ წყაღს არ დაჰკვდია.

საქმე იმით დაიწვეს გაგარინმა და უსლარმა, რომ ორივენი შეუდგნენ მხარის დათვალიერებას, რომელსაც ორნივე კარგად იცნობდნენ ამასწინანდელ მოგონებათა წყალობით. მაგრამ ეს მოგონებანი თავისი ხასიათით ორივესათვის სულ სხვადასხვანაირი იყო და ამ მოგონების მიხედვით თითოეული მათგანი სულ სხვადასხვანაირად აპირებდა მომავალში საერთოდ მოქმედებას.

7
გაგარინს, როგორც ქუთაისში, ის ყველაგან სხვაგან დიდის აღტაცებითა და ყოველადის გულწრფელობითა ხვდებოდნენ, და თვითონ ისიც სასიამოვნო წარსულის შთაბეჭდილებების ქვეშ იმყოფებოდა, კარგს გუნებაზე იყო და თავის წინაშე დასახული ჰქონდა ერთად-

ერთი მიზანი – სიკეთე ეყო და გაეხედნიერებინა მისდამი ჩაბარებული მხარე. ყოველსა ნაბიჯზე თვალწინ ედგა კვალი ამ მხარის განადგურებისა ოსმალთაგან. და ზოგიერთ ადგილის ცნობაც-კი უჭირდად, ისე იყო ოსმალთაგან იავარყოფილი. უნდოდა დაევიწყებინა მთელი დრამა აქ მომხდარ ომისა, მტყუანსა და მართალს არ ეძებდა, ხედავდა მხოლოდ საერთო უბედურების კვალს, რომელიც, რაც შეიძლებოდა, ჩქარა უნდა მოეხსო და ხელი შეეწყო მხარის წარმოებით ძალთა ფეხზე წამოდგომისათვის.

უსლარი კი სულ სხვანაირად სცდილობდა ფონს გასვლას. ამ ერთ წელს წინათ ამ მხარეში მეტად მიმიეწამები გამოიარა და განიცადა მთელი სიმწარე იმ კაცის მდგომარეობისა, რომელიც საშინელის მარცხით გათავებულ და გახშიანებულ საქმის სათავეში იდგა. ომარ-ფაშამ გურულთა რაზმი რომ დაამარცხა, ეს რაზმი ინგურიდან გამოიქცა და სამეგრელოს საზღვრებს გასცდა. და აჰა, უსლარი იძულებული შეიქმნა რამდენისამე თვის განმავლობაში დაბა ხონში მჯდარიყო და ეყურებინა თავის ცხვირ წინ ატუხულ მტრისათვის, რომელიც უწყალოდ აჩანაგებდა მის მიერ დაპყრობილ მხარეს და რომლისათვის უსლარს არ შეეძლო რამე სერიოზული ზიანი მიეყენებინა. ყოველივე ეს მეტად სტანჯავდა და გულს უკლავდა უსლარს. თავადმა მუსხრანბატონმა განზრახა ოსმალების წინააღმდეგ პარტიზანული ომი გამოეწვია სამეგრელოს ხალხში, მაგრამ ეს განზრახვა ოცნებად დარჩა. უსლარი მხოლოდ იმ ცნობებით ინუგეშებდა თავს, რომელიც ჯაშუშებს მოჰქონდათ მტრის შესახებ, და თან თვალყურს ადევნებდა – აფხაზეთის, სამეგრელოს და სვანეთის მთავრებს როგორ ეკვირათ თავი. ამ დაკვირვებისაგან ბევრი არაფერი სანუგეშო დასკვნა გამოიღოდა: მხარეს შიგნით ნამდვილი დალატი იყო და ამ დალატს ვერას უშეველიდა კაცი. ამ დალატის დაწერილებითი ამბების ერთად თავის მოყრა, დასახელება დალატში გატარებულ პირთა, აგრეთვე გენერალ მურავიოვის გამტყუნება იმაში, რომ გურულთა რაზმს გატირვების დროს ჯარი არ მიამეგნა, – მასალად დედო უსლარის მშვენიერს მოხსენებას. ამ მოხსენებაში უსლარი ცდილობდა გაემართლებინა მუსხრანბატონის მოქმედება, ე.ი. იმასთან ერთად თავის საკუთარიცა. ამ ნიჭიერ თავისდაცვაში, უსლარს, რა თქმა უნდა, არ შეეძლო ობიექტური და მიუკერძოებელი ყოფილიყო, მთელი ბრალი ამ მხარის ხელმძღვანელ პირთ მოახვია და დაურიდებლად პირშავად გამოიყვანა ქვეყნის წინაშე; ამნაირისავე თვალით უყურებდა ამათ ახლა, როცა გაგარინთან ერთად ამ მხარეში მოგზაურობდა. მ. შარვაშიძე, დადიანი და დადეშქელიანი ისევე გამოდიოდნენ სცენაზე მათის სამთავროების ავტონომიებითურთ. ამათ, უსლარის აზრით, ბოლო უნდა მოჰვებოდეთ; და ახლა საკითხავი სახელდობრ ის იყო, თუ როგორ უნდა მოჰვებოდეთ ბოლო. მართალია, მათი ავტონომია წარმოადგენდა უკვე დრომოჭმულ მოვლენას, ახსურდს, და ხელმოწიფისა და მეფის ნაცვლის უმაღლეს საბჭოში ამ ავტონომიებს საბოლოო განაწინი გამოუტანეს; მაგრამ საჭირო იყო გამოეკრებინათ საუკეთესო საშუალებად მათი ლიკვიდაციისათვის. და ეს ჰქონდათ სწორეო თავშისაცემად ქუთაისის გენერალ-გუბერნატორსა და მისი შტაბის უფროსს. ყოველსავე შემთხვევაში ეს ლიკვიდაცია არ უნდა მომხდარიყო რაიმე სუბიექტურ გავლენით, რომელიმე კერძო კაცის ექიანობით, არამედ ფართო მასშტაბით, სვეიდან. ქვეყანამ იცოდა, როცა რუსეთმა შემოიერთა ეს სამთავროები, მხოლოდ და მხოლოდ თვითონ რუსეთმავე შეჰქმნა მათში არსებული ავტონომიები, ერთგულად იცავდა და იფარავდა ამ ავტონომიებს აქაურ მცხოვრებთა საზიანოდ, და აბა სწორედ რუსეთსავე ჰმართებდა ლიკვიდირება ამ ავტონომიებისა ისე, როგორც ეს შეეფერებოდა დიდი სახელმწიფოს ღირსებას და სახელს.

(გაგრძელება იქნება)

კასობრიობის ისტორია კოლხეთით იწყება



(გაგრძელება პროფესორ კლიმენტი შელიას სტატიის ბეჭდვას, რომელიც დაწერილია მისი ახლახან გამოსული წიგნის „კოლხეთი - ჩვენი სამყაროს კარიბჭე“ და მისივე, უკვე კომპიუტერზე აწყობილი მონაცემი წიგნის „კაცობრიობის ისტორია კოლხეთით იწყება“-ს მიხედვით).

იბერიად იწყება კოლხეთით, კოლხეთშია ქართული და მსოფლიო ცივილიზაციის სათავე.

პროფესორი ლევან სანიკიძე.

1975 წელს ჟურნალში „ტექნიკა მოლოდიოვი“ (№6) გამოქვეყნდა იბერიული ტაბულა, რომელიც მადრიდიდან გამოგზავნა მეცნიერებთა დოქტორმა მანუელ დე დრანგემ (რომელიც მრავალი წლის განმავლობაში გაუშიფრავი იყო). სამი თვის შემდეგ თბილისელმა ინჟინერმა შოთა ხვედელიძემ ჟურნალს გაუგზავნა ძველი ქართულ-იბერიული დამწერლობის განვითარების შედარებითი ტაბულა, რომლის სრული ტექსტი გამოქვეყნდა ჟურნალში.

ინგლისელმა პროფესორმა ჯაკობ პარისონმა განაცხადა, რომ ტექსტზე ორ ათეულზე მეტი წელი იმუშავა, ჰქონდა დიდი ცნობისმოყვარეობა და დიდი სიჯიუტე, მაგრამ ვერაფერს მივაღწიე - ვერ გავშიფრე.

1975 წლის II დეკემბერს თსუ მაშინდელი რექტორის პროფ. დავით ნიხიკვიშვილის მიერ მოწვეულ მეცნიერთა დიდ შეხვედრაზე, სადაც მოსმენილი იქნა შ. ხვედელიძის ვრცელი მოხსენებამ. აკად. ა. ჩიქობავამ ტექსტის გაშიფრვა-საკითხვა ჩათვალა სრულიად სწორად და სარწმუნოდ; ბასკური ენის სპეციალისტმა კუიბიშეველმა მეცნიერმა იუ. ზეიციარმა ხაზგასმით მიუთითა, რომ შ. ხვედელიძის მიერ ჩატარებული გაშიფრვა აბსოლუტურად სწორია და ამის დამადასტურებლად გაშიფრული ტექსტიდან ბევრი მაგალითი მოიყვანა;

რუსი აკადემიკოსი ა.ა. ბელოპლედვესკი დეტალურად გაეცნო შ. ხვედელიძის გამოფერის მახალებსა და დასკვნებს, აღტყბულმა ჩასწავრა: „გაშიფრვა, ტექსტის წაკითხვა სწორადაა მომხდარი“. ასეთივე შესხვედრა ჰქონდა ცნობილ ისტორიკოსს ილია ბარაქოვსაც და ბევრ სხვა რუს ენათმეცნიერსა და ისტორიკოსს.

აკად. ა.ა. ბელოპლედვესკი წერდა: თუ დადასტურდა (საბედნიეროდ დასტურდება) შ. ხვედელიძის პიპოთეზა, მაშინ რამდენიმე საუკუნით, 3479 წლით, გადაიწვეს ქართული დამწერლობის საწყისი ისტორია და ჩვენი შეხვედრებიანი უძველესი ხელნაწილი (ქართული) ცივილიზაციის ურთიერთობის საკითხებში.

შოთა ხვედელიძემ ტექსტი ალაპარაკა: დაახლოებით ძვ.წ.

XV საუკუნეში საქართველოში მოხდა ძლიერი მიწისძვრა, რომელიც იწინასწარმეტყველა ქართველ ტომთა ბელადმა, რომ მიწისძვრის მოლოდინში მთაში ყვავილი ფურისულა ყვავილობას წვევტს და კვდება, და ხალხს მოუწოდა დაეტოვებინათ საქართველო; 400 ათასზე მეტი ადამიანი დაღუპა ქვეყანა და გაემართნენ მზის ჩასვლის მიმართულებით. ისინი დასახლდნენ შემდგომში ბასკეთად წოდებულ ტერიტორიაზე, კართაგენსა და კორსიკაში, პირინეის მთების კალთებზე და ბისკაის ყურის ნაპირზე. ისტორიკოსები აღნიშნავენ, რომ უნიტიერესი სარდლის, ბრწყინვალე მეომრის, დიდი სტრატეგის ჰანიბალის არმიის ავანგარდში რჩეული და მამაცი მეომრები იბერები იყვნენ. შეიძლება ვიფიქროთ, თუთი ჰანიბალიც ხომ არ იყო იბერიელი?

რუსი შოენისტები შეაწუხა აკად. ა. ბელოპლედვესკის დასკვნებმა, რომ შეიძლება დაახლოებით 4 ათასი წლით გადაიწიოს ქართული დამწერლობის საწყისმა ისტორიამ და ხელთაშუაზღვისუკული ცივილიზაციის საკითხებმა. რუს რეაქციონერ მეცნიერებს იმის დადასტურება არ უნდოდათ, რომ 4 ათასი წლის წინ ქართველებს დამწერლობა ჰქონდათ. ამის დამტკიცება არ უნდოდათ, აგრეთვე, ზოგიერთ ქართველ მეცნიერსაც, რადგან საქმე ეხებოდა ბასკურ-მეგრულ დამწერლობას. ამიტომ რუსები და ზოგიერთი გაგვირგინი ქართველი მეცნიერი ცდილობდა საკითხის სანქაროდ, ზერეულ გამოკვლევებით, ფაქტების დადასტურების გარეშე საქმის დამთავრებას.

კვლავ მინდა ვთქვა, რომ კ. შმიდტი, ჩანს, არ იცნობდა შ. ხვედელიძის შრომას. მით უმეტეს არ შეიძლება ცოდნოდა გია კვაშილავას მიერ „ფესტოსის დისკოს“ გაშიფრვის შედეგები. დისკო, რომელიც 2008 წელს იტალიელმა არქეოლოგმა აღმოაჩინა კუნძულ კრეტაზე - კოლხთა საცხოვრისში და რომელიც თიხის ფირფიტაზე ორივე მხარეს ოქროს ყალიბით ამოტვიფრულია 244 ნახატი ნიშანი და 63 სიტყვა-კომპოზიტი. თიხის ფირფიტა 100 წლის განმავლობაში ვერაფერს გაშიფრა, ეს ბედნიერება წილად ხვდა ჩვენს თანამემამულეს, ახალგაზრდა მეკლავარ-მათემატიკოს-ლინგვისტს გია კვაშილავას.

2008 წლის 31 ოქტომბერს და 1 ნოემბერს ლონდონში, დიდი ბრიტანეთის ხელოვნების სამეფო აკადემიაში და ანტიკვარულ საზოგადოებაში - ბერლინეტონის სასახლეში გაიმართა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, რომელშიც მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მეცნიერები დასწრეობდნენ მონაწილეობას; კონფერენციის ორგანიზატორები იყვნენ საერთაშორისო ჟურნალ „მინერვას“ დამფუძნებელი ფილოლოგიის დოქტორი ჯერომ აიზენბერგი და ამავე ჟურნალის რედაქტორი მარკ მერონი. თორმეტი მოხსენებიდან, რომელიც მოდიანად ფესტოსის დისკოს აღმოჩენის 100 წლისთავის იუბილეს მიეძღვნა, მხოლოდ გ. კვაშილავას მოხსენება გახლდათ თუბილის გვირგვინი და მშვენება, რომელშიც წარწერებიანი დისკო ამტკვევებული იქნა პროტო-ქართულ-კოლხურ ენაზე.

მას შემდეგ რაც გ. კვაშილავას უდიდესი აღმოჩენის თაობაზე ინფორმაცია განთავსდა ინტერნეტში, ავტორმა 7 ათასზე მეტი წერილი მიიღო მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან.

ლონდონის საერთაშორისო

სამეცნიერო კონფერენციის მონაწილე, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ნანა შეგელაია აღნიშნავს, რომ ამ კონფერენციის ერთ-ერთ მხცოვან მონაწილეს უთქვამს: მოთმინება ახალგაზრდავ, მოთმინება! ყოველივეს, რაც აქ მოვისმინეთ, გამოწვდილივით ანალიზი სჭირდება. გარწმუნებთ სამ წელიწადში თქვენ მსოფლიოში აღიარებული ადამიანი იქნებით.

კონფერენციის დამთავრების შემდეგ მისი პრეზიდენტი ჯერომ აიზენბერგი წერს: „პიერფასო-ლოქტორ კვაშილავა! ნამდვილად ბედნიერი ვიყავი თქვენთან და თქვენს კოლეგებთან შეხვედრით ფესტოსის დისკოსადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციაზე გასულ კვირას. გილოცავთ გამარჯვებას!“

2007-2008 წლებში (ტირავის ბეჭდვა გრძელდება) გამოვიდა პროფესორების მამანტი ძაძაძიას, ცირა ძაძაძიას და ვლადიმერ ვახანიას (ეს ის ვახანია გახლავთ, რომლის პატრიოტული პოზიცია ხელს არ აძლევდა საქართველოს არაქართულ ხელისუფლებას და ამიტომაც რამდენიმე წლით გამოამწყვდიეს ციხეში იარაღის უკანონოდ ფლობის ბრალდებით. მაგრამ ეჭვი არ გვეპარება, რომ როცა ქვეყანაში მალე ტირანია დაემსობა და სამართალი იხიშობს, ვახანიას კი ციხეში სწორედ მისი უხელო დამკვირები ჩაენაცვლებიან - „ილორი“) შვიდტომიანი, „მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმოვლობა“, რომლის ავტორები აღნიშნავენ, რომ მეგრული ლექსიკა-სიტყვობრივი მარაგი 100 მილიონზე მეტია, აქედან ზნუნურ ფორმას განეკუთვნება 99,9 პროცენტი.

ეს ფაქტები დაუჯერებელს გავს, მაგრამ იგი რეალურია. ასეთი მდიდარი ლექსიკა გააჩნია მეგრულ ენას მხოლოდ 600 ათასზე მეტი ლექსიკური მარაგი აქვს.

ენათმეცნიერებს მიანდათ, რომ ენის წარმოშობის საკითხის კვლევა უშედეგოა, რომ ჩვენ მას ვერასოდეს გავიგებთ, რომ ენის წარმოშობის საკითხის შესწავლა შეუძლებელია. შვიდტომიანი ლექსიკა ამ პრობლემას წარმატებით წვევტენ. ამ სახის ლექსიკონი პირველია ლექსიკოგრაფიის, მოდიანად ენათმეცნიერების ისტორიაში.

წიგნებზე „მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმოვლობაზე“ რამდენიმე კეთილმოხუნეუთა რეცენზია გამოქვეყნდა პრესაში, რომლის ავტორებმა ნაშრომს „გადატრიალება ენათმეცნიერებაში“ უწოდეს.

მაგრამ ქართველ მეცნიერთა „მამები“ აღნიშნულ შვიდტომულს „არ ამჩნევენ, ცდილობენ ხმა არ ამოიღონ და ამით მხარის დაუჭირონ აღნიშნული ნაშრომის მოწინააღმდეგეებს“. მაგრამ, შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ მიუხედავად დიდი წინააღმდეგობებისა, შვიდტომიანი და მისი დებულებები ფართოდ გაიკავავს გზას მეცნიერებაში და მის მსოფლიო აღიარებას ვერავითარი ძალა ვერ შეაჩერებს.

ასევე, 2004 წელს კოხა კოლხმა გამოსცა 600 გვერდიანი წიგნი „კოლხური ენის საიდუმლოებანი“, რომლის ავტორმა რამდენჯერმე ოფიციალურად მიმართა ქართველ მეცნიერთა „მამებს“, მათ შორის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ხელმძღვანელობას, შეფასებთ მიეცათ წიგნისათვის, ეთქვათ: წიგნი კარგია თუ არა, წიგნში მოცემული დებულებები სწორია თუ არა? ასეთივე მდგომარეობა ანხორ შონიას, ნათელა ფოფხა-

ძის, ბადა სოფიას და სხვათა მიმართ. მართლაც ამ ავტორთა საინტერესო შრომებს რომ დადებითი შეფასება მისცენ, ფიქრობენ რომ, მათ საკუთარ შეხედულებებსა და შრომებს ზიანი მიადგება.

გ. კვაშილავას და ძაძაძიებისა და ვახანიას აღმოჩენები, კ. შმიდტის გიოტეკლოტიკურ არქეოლოგიური გათხრების შედეგები, ნამდვილად მიმართულებას უცვლიან მსოფლიო მეცნიერების განვითარებას. დღეს თუ ხვალ, ერთი თუ რამდენიმე წლის შემდეგ ქართულ და მსოფლიო მეცნიერებას ამ აღმოჩენების აღიარება აუცილებლად მოუხდება. ეს აქისომიაა.

ლაზ-მეგრელებს უძველეს დროში „ეფუთი“ ჰქონდათ, რომელიც დაკარგულად ითვლება. „ეფუთი“ არის ისტორიულ ხანაში შექმნილი საკაცობრიო მნიშვნელობის ნამოღვაწრების, ე.ი. შედეგების წიგნის სახელი, იგივე „სიბრძნის კრებული“. სპირიტუალური დიდმა და პატარამ იცის, რომ ძველ დროში არსებობდა სიბრძნის წიგნი „ეფუთი“ (ფუთი). მეგრული გლეხი ამას ისე გამოხატავს, რომ ვითომ გუშინ ხელში ეჭირა აღნიშნული წიგნი, შინაარსი ზუსტად არ იცინა მაგრამ ხაზგასმით მიუთითებენ, რომ ამ წიგნში გადმოცემული იყო ქვეყნის წარსული და მომავალი, რომელიც ზუსტად სრულდებოდა და რომ ეს აღნიშნული ქვეყნა იყო ჩვენი სამყაროს დასაწყისი. ჩანს, რომ „ანუნაკი“ უნდა ნიშნავდეს „ეფუთს“.

მეკლავარი ი. კვაკავსკირი წერს, რომ ქართული წარმართული ეპოქა 7 ათას წელზე მეტს ითვლის, რომ „ბიბლიამდე“ ხუთი ქართული წიგნი არსებობდა: 1. „ეფუთი“ - 7 ათასი წლის; 2. „მარგალითი“ - 7 ათასი წლის; 3. „ტოფშა“ - 3500 წლის, 4. „ტაბუ“ - 3500 წლის; 5. „ოქროს საწმისი“ („კვიბარა“) - 3300 წლის და შემდეგ ავტორებს: „ეფუთ“-ს სამეგრელოს მკვიდრი „პირველ ბიბლიას“ ეძახდნენ, რადგან „ათი მცნება“ პირველადვე იქ იყო ჩამოთვლილი. ის თოვლი 4 ათასი წლით უსწრებდა ამ აღიარებულ წიგნს. მეკლავარი ასახულებს ამ ხუთივე „წიგნის“ წარმოშობის ისტორიას. (ინდიკო კვაკავსკირი, სამი ქართული საოცრების ირგვლივ. გაზ. „დიოსკურია“, 2007, თებერვალი, №38).

1722 წ. 6 აპრილს პოლანდიელმა მოგზაურმა, აღმირალმა როგვენმა აღმოაჩინა ყველა კონტინენტიდან დაშორებული პატარა კუნძული, რომელსაც ადღგომის კუნძული უწოდეს (აღმოჩენის დღე, 6 აპრილი ადღგომა იყო). ნორვეგიელმა მეცნიერმა და მოგზაურმა ტურ ჰეიერდალმა დიდი ექსპედიციით, 1955-1956 წლებში იმოგზაურა ადღგომის კუნძულზე, რომ გაერკვია ვინ იყვნენ კუნძულის თავდაპირველი მოსახლენი, ვინ შექმნა გრანდიოზული ქვის ქანდაკებები, შორეული წარსულის უცნობი კულტურა, და გამოაქვეყნა შესანიშნავი წიგნი „ადღგომის კუნძულის საიდუმლოება“, რომელიც მსოფლიოს მრავალ ენაზე ითარგმნა.

ექსპედიციამ გამოიკვლია და აღწერა 400-ზე მეტი ვოლკანური ქვის ქანდაკებები, რომლებიც ქვის უხარმასხარ პედესტალებზე იდგნენ, ქანდაკებების სიმაღლე 8-10 მეტრს აღწევდნენ, კერპებს ჰქონდათ მოკლე წვერები, ზეცას მიპერობილი თვალები და გრძელი ყურები.

კუნძულის მაცხოვრებლები თავიანთ ენაზე კუნძულს რაკანუს-დიდი კლდეს უწოდებდნენ,

ხოლო უძველეს პრეისტორიულ თქმულებებსა და ლეგენდებში მას ეწოდება *te pot o xenua* - დედამიწის ჰიპი, უფრო გვიან ადგილობრივი მცხოვრებლები კუნძულს „თვალს“, „ზეცის მიჯნას“ უწოდებდნენ.

კუნძულის პირველი აღმოჩენი და მცხოვრებლები იყვნენ ხოტუ მატუა და მისი თანადამცხოვრებელი, პირველი მეფე იყო ხოტუ მატუა. მასზე კუნძულის მცხოვრებლები სიყვარულით და მოწიწებით ლაპარაკობენ; მცხოვრებლებმა ჰეიერდალს უხვედნენ მიწაში შემონახული საძირკველი მეფის უძველესი სადგომისა, რომლის იქით ჩანდა ხუთწახანაგოვანი ქვის ღუმელი - ნიშანი იმისა, რომ ამ ადგილას მეფის სამხარეულო იდგა - „აქ ყველგან ჩანდა ოდინდელი სიდიადის ნაკვალევი“.

ტ. ჰეიერდალი წერს: ხალხს, რომელსაც ჯერ თავი არ გამოეჩინა კულტურის სხვა სფეროებში, მოეცა ესოდენ გენიალური ინჟინრები და უნიტიერესი მხატვრები? როგორ შეძლეს ქვის ერთიანი მონოლითების გადატანა ერთი ადგილიდან მეორეზე, აღმართზე ატანა და აღმართვა, როცა არ იყო ამწეები, მანქანები, კუნძულზე კი ტყე არ არის? მიწაზე დაგდებული ქვის გოლიათის, სხეულზე, მუცელზე, სახეზე, ასვლა ძალიან ძნელია, შეიძლება თავისუფლად გასივროთ ან წამოწვე მის ცვირზე, რომელიც თავისი ზომით საწოლს არ ჩამოუვარდება, მათ შორის მიწაზე დაგდებული ყველაზე დიდი ფიგურის სიმაღლე ოცდარ მეტრს აღწევს. გოლიათებს თავზე ადგამდნენ ცილინდრის ფორმის გამწვანებულ მოწითალო ქუდს, რომლის წონა ორიდან ათ ტონაზე აღწევდა და რომელსაც პუკო ერქვა (ორი ჩამოშვებული წვერით), რაც ნიშნავდა თმის კულულებს. ეს თავსატეხი მეგრული „ყაბალახა“, რომელიც ჰეიერდალისათვის უცნობი იყო.

„პუკო“ - ყაბალახის მოცულობა იყო ექვსი კუბური მეტრი: კუნძულის მცხოვრები ჰეიერდალს ასე მიმართავს: მე ლეგენდარული ხოტუ მატუას მემკვიდრე ვარ და ეს მიწები მუდამ ჩვენს გვარს ეკუთვნოდან; მოსაუბრეს შორის იყო სახელად „ხათა“ - ხათა, ხოთო მეგრული სახელებია. ადგილობრივი მცხოვრებლები ხოტუ მატუაზე ასე მღეროდნენ: ტე ტეუ, ტე ვაკა ტა ხოტუ მატუა. ო. გო-გო! ტეუ ტე ვაკა ტა ხოტუ მატუა. საინტერესოა ჰეიერდალის შემდეგი ნათქვამი: „შეშენებლობის ტექნიკა რითაც თავი ისახელეს ინკებმა, შეტანილი იქნა ადღგომის კუნძულზე იმ დროს, როცა თავისი განვითარების უმაღლეს წერტილს მიაღწია. ის შეიტანა იმ კულტურულმა ხალხმა, რომელმაც პირველმა შედგა ფეხი კუნძულზე... პირველ რიგში მე გამოცა იმან, რომ მიწაში მდებარე საგანი საოცრად მოგვაგონებდა ინკების წინააღმდეგი პერიოდის კოლონა-ქანდაკებებს, რომლებიც ანდებში გვეხვდება.“

აქ „გასაოცარი“ არაფერია. სწორედ ინკებში ატეკებში და მათს ტომებში ცივილიზაცია შეიტანა იბერი-ამიგრული ხალხის წარმომადგენლებმა. ამიტომ ინკების წინააღმდეგი პერიოდის „კოლონა-ქანდაკებები“ „საოცრად გავდა“ ადღგომის კუნძულზე „მიწაში მდებარე საგნებს“. მაგრამ ჰეიერდალი კოლხ-მეგრელების უძველეს ისტორიას, როგორც ჩანს, არ იცნობდა.

სამეგრელოს ისტორიულ მარცვლულ კულტურათა ასოციაციები



საყოველთაოდ არის გავრცელებული ახრი იმის შესახებ, რომ კოლხეთი – საქართველოს ეს უმშვენიერესი მხარე და კერძოდ, მისი დასავლეთი ნაწილი, როგორც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. ნ. კვიციანიის სახელობის ბოტანიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი ინეზა მისიაია აღნიშნავს, უსოვარი დროიდანვე გამოირჩეოდა მარცვლოვანი, ფეხნაირი, საბოჭკო-სახეთე და პარკოსანი კულტურების მრავალფეროვნებით.

ხემათ დასახელებულ კულტურათაგან, განსაკუთრებით უნდა გამოვეყოთ ხორბლის კულ-

ტურა, რომელიც საფუძვლიანად შეისწავლეს გამოჩენილი ქართველმა მეცნიერებმა, პროფესორებმა პ. ნასყიდაშვილმა, ნ. ნასყიდაშვილმა, ბრეგვაძემ და სხვებმა. ამ თვალსაზრისით მეცნიერთა მიერ აღწერილი და რეგისტრირებული ხორბლის 14 სახეობიდან 4 ჯიში ხორბლისა ენდემურია და კოლხეთის კულტურული ფლორის უძველეს ნაშთებს წარმოადგენენ.

როგორც პროფესორი გორგიძე მიხინვეს, კოლხური უძველესი ხორბლების რელიქტები, როგორცაა მახა, კოლხური ასლი, ზანდური, ნათლად ასახავენ ხორბლის ევოლუციის თითქმის მთელ გზას.

ძველი ბერძენი მწერალი ქსენოფონტე (ძვ. წ. 435-354) გვაწვდის ცნობას იმის შესახებ, რომ როდესაც ბერძენებს მოსინიკების ქალაქი აუღიათ, მათ სახლებში პურის დიდი მარაგი უპოვიათ, უნახავთ ახალი პურის ძნეობა, განსაკუთრებით ბევრი ყოფილა ასლი (მიქელაძე, 1962 წ.).

კოლხეთის აგრარული კულტურების შესწავლას საქამო დრო მონაღმა ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა ი. მისიაიამ. უფრო მეტიც, მის მეცნიერულ თვალსაწიერში მოექცა ფეხნაირი კულტურების შესწავლა, რომელთაგან მისი აზრით, საქართველოში და კერძოდ მის დასავლეთ ნაწილში, მე-17 საუკუნემდე ვიდრე სიმინდის კულტურის შემოსვლამდე, ძირითადი კულტურა იყო ღებო (იმერულად, გურულად), ღუმუ, ღიმუში (ღუმუ (ხვევი მეგრულად), ღომუ, ღომი (ჭანურად)).

ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატს, ქალბატონ ი. მისიაიას,

როგორც მეცნიერსა და მოღვაწეს, ძალზე ახლო ურთიერთობა აქვს დამყარებული მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმთან.

1985-1986 წლებში მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მოეწყო ეთნობოტანიკური კუთხე, სადაც გამოფენილია იშვიათი და გადაშენების პირას მისული კოლხური კულტურები – კერძოდ: ღომისღომი, ფეტვი, სორგო, მახა; ენდემური ხორბლის ნიმუშები – მახა, ზანდური, ძველი კოლხური ასლი, კოლხური ხელი – სახეთე ბოჭკოვანი კულტურა, ქვრიმა, ჭადა-ჭადა და სხვ.

როგორც ცნობილია, ეს გამოფენა მოეწყო ეროვნული მუზეუმის პატრიარქისა და მესვეურის, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის გივი ელიავასა და მუზეუმის თანამშრომლების ერთობლივი მონაწილეობით. ეთნობოტანიკური კუთხის მოწოდებაში მონაწილეობდა აკადემიკოს ნიკო კეცხოველის სახელობის ბოტანიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი ქალბატონი ინეზა მისიაია.

ცალკე უნდა გავამახვილოთ ყურადღება ი. მისიაიას მონოგრაფიულ გამოკვლევაზე – „ღომის კულტურა საქართველოში“. საყურადღებოა ავტორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ეტიმოლოგიური თვალსაზრისით, საქართველო ითვლება ღომის – ქართული კულტურის არსებობის კერად, რასაც ადასტურებენ არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ბოტანიკური-სისტემატიკური და სხვა სახის მეცნიერული გამოკვლევები.

ასევე უნდა აღინიშნოს გამოკვლეობა „მეცნიერები“-ს

მიერ 2005 წელს თანაავტორობით ერთად, ი. მისიაიას მიერ დღის სინათლეზე წარმოჩენილი წიგნი – „კოლხეთის აგრარული კულტურა“. ნაშრომში ფართოდ არის განხილული ფეხნაირი კულტურები და ასევე ის კულტურებიც, რომელთა გავრცელების არეალს კოლხეთი წარმოადგენდა.

მოკლედ გვინდა შევეხოთ ურთის კულტურას. ი. მისიაია მიიხსენებს, რომ ურთის კულტურას საგანგებო წესით თესავდნენ კიწიაში, თამაკონში, ბანძასა და ზუგდიდში, როგორც გრიპის სამკურნალო საშუალებას – „ტიბუს“. ის ღომის მაგვარი მცენარეა, ჰგავს ბურხა ბალახს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მომიხდა მოხრობელებთან მუშაობა, მაგრამ სამწუხაროდ, ასეთი კულტურის არსებობის შესახებ, დადებითი ინფორმაცია ვერ მივიღე, თუ არ ჩავთვლით თამაკონის საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარის ბატონ თემურ (ბურდა) პირტახიას მიერ გამოკითხულ რესპოდენტთა მონათხრობს.

ადგილობრივ მკვიდრთა გადმოცემით, სოფ. თამაკონში თესდნენ არა ურთს, არამედ ღუმურს, რომელსაც იყენებდნენ როგორც გრიპის სამკურნალო საშუალებას.

ასეთია მოკლედ, კოლხეთის აგრარული კულტურების მკვლევარისა და თვალსაზრისით მეცნიერ ბოტანიკოსის, ქალბატონ ი. მისიაიას წვლილი სამეგრელოს ისტორიულ მარცვლოვან კულტურათა ასოციაციის შესწავლის თვალსაზრისით.

უცხო სიტყვათა განმარტებანი ანაბასის და ანაბაზისი – ბერძნ. ზევით სვლა, ზესვლა.

1. ძველი ბერძენი მწერლის ქსენოფონტეს (მე-4 ს. ძვ. წ.) თხზულება, რომელშიც აღწერილია სპარსელთა უფლისწულის კიროსის ლაშქრობა თავისი ძმის – სპარსეთის მეფის არტაქსერქსეს წინააღმდეგ.

ამ თხზულებაში მნიშვნელოვანი ცნობებია მოცემული საქართველოსა და ქართველი ტომების შესახებ.

2. რომაული ეპოქის (მე-2 ს. ახ. წელთაღრ.) ბერძენი მწერლის არიანეს თხზულება, რომელშიც აღწერილია ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობა. (იხ. მ. ჭაბაშვილი, უცხო სიტყვათა ლექსიკონი, გვ. 37).

1. **ენდემი** (ბერძნ. endemos ადგილობრივი) – მცენარე ან ცხოველი, რომელიც გავრცელებულია მხოლოდ გარკვეულ გეოგრაფიულ არეში.

2. **ენდემია** (ბერძნ. endemos ადგილობრივი) – გადამდები დაავადების მუდმივი არსებობა რომელიმე მხარეში.

3. **ენდემური** – მხოლოდ გარკვეული ადგილისათვის, მხარისათვის დამახასიათებელი, ადგილობრივი. (იხ. მ. ჭაბაშვილი, იქვე, გვ. 154).

4. **რელიქტი** (ლათ. relictus დატოვებული) – ორგანიზმი, ნივთი ან მოვლენა, რომელიც წარმოადგენს შორეულ წარსულს, ძველი ეპოქის გადმონაშთს. რელიქტური რელიქტის სახით შემონახული. მაგ.: რელიქტური მცენარეები. (იხ. მ. ჭაბაშვილი, იქვე, გვ. 434).

ამბროს ფაილოძე, მეცნიერ მუშაკი

ნუმიზმატიკა, როგორც ისტორიის დამხმარე დისციპლინა მუზეუმის ნუმიზმატიკური მასალების შუქზე

ნუმიზმატიკას, როგორც ისტორიული მეცნიერების დამხმარე დისციპლინას, საქართველოში არც თუ ისე დიდი ხნის ისტორია აქვს.

ნუმიზმატიკური მეცნიერების შესწავლის საკითხთან დაკავშირებით, თავიანთი გამოკვლევები აქვთ ქართველ მეცნიერებს, პროფესორებს თამარ ლომოურს, დავით კაპანაძეს, გ. დუნდუას, რ. ასათიანსა და სხვებს.

პროფ. თამარ ლომოური გახლავთ ნუმიზმატიკური მეცნიერების ფუძემდებელი საქართველოში, რომლის სახელთან დაკავშირებულია მრავალრიცხოვან ნუმიზმატიკურ მასალათა მეცნიერული ინვენტარიზაცია და კატალოგიზაცია. ყოველივე ეს შესაძლებელი გახდა საქართველოს სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებაში თავმოყრილი მასალების დრმა მეცნიერული შესწავლის შედეგად.

როგორც ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში არის აღნიშნული პროფ. გ. დუნდუას მიერ, პროფ. ლომოურმა საფუძველი ჩაუყარა „ახალი ქართული ნუმიზმატიკური ტერმინოლოგიის შექმნას“. პროფ. თ. ლომოურის მიერ შესწავლილ იქნა შ. რუსთაველის ეპოქის მონეტები. მის მიერ დადგინდა იქნა მე-15 საუკუნეში დასავლეთ საქართველოში ქართული მონეტების მოჭრის ფაქტი, შეისწავლა მე-16 საუკუნის ქართული ფული და ა. შ.

მეორე ქართველი მეცნიერი, რომელმაც ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ნუმიზმატიკური მეცნიერების შესწავლის საქმეში, გახლდათ გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, პროფ. დ. კაპანაძე, რომელმაც გამოავლინა მრავალი უცნობი ქართული მონეტა, დაადგინა ზოგიერთი მონეტის ქართულ წარმომავლობა. პროფ. დ. კაპანაძემ მნიშვნელოვანი შესწორება შეიტანა ქართული მონეტების დათარიღებაში და

სხვა. პროფ. დ. კაპანაძის მიერ 60-მდე გამოქვეყნებულ სამეცნიერო ნაშრომთაგან, ქართული ნუმიზმატიკური მეცნიერების მნიშვნელოვანი შენაძენია „**ქართული ნუმიზმატიკა**“.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს პროფ. დ. კაპანაძის მიერ გაწეული დიდი სამუშეო საქმიანობა, რომლის თვალსაწიერში სისხლხორცეულად იყო გამოჯადოვნი მონეტების შეგროვება, განსაზღვრა, კოლექციის სისტემატიზაცია და დაცვა.

ძველ კოლხეთში საკუთარი მონეტა ადრეულ პერიოდში იქნა მოჭრილი, კოლხური თეთრის ზოგიერთი სახეობა, უკანასკნელი გამოკვლევების მიხედვით, ძველი წელთაღრიცხვის მე-6 საუკუნით თარიღდება. (დ. კაპანაძე).

ნუმიზმატიკა (ლათ. numisma, numismatis) ლათინის ფული ისტორიული მეცნიერების დამხმარე დისციპლინაა, „რომელიც სწავლობს ძველ მონეტებს, ლათინის ფულს, აგრეთვე მედლებს, ორდენებს“ და მისთ.

როგორც პროფ. როზეტა ასათიანი აღნიშნავს, „თავდაპირველად ვერცხლი და ოქრო ფულის როლში გამოდიოდა ზოდების სახით, მაგრამ საქონელთა გაცვლა ზოდებზე ქმნიდა გარკვეულ სიძნელეებს: საჭირო იყო ლითონის აწონვა, მისი დანაწევრება, სინჯის დადგენა და ა. შ. ამიტომ ობიექტურად წარმოიქმნა იმის აუცილებლობა, რომ ზოდები შეცვლილიყო მონეტებით“.

მონეტა ლათინური (moneta) წარმოშობის სიტყვაა და ლათინის ფულის ნიშნის განმსაზღვრელია. პროფ. რ. ასათიანი აღნიშნავს: „მონეტა არის წინასწარ დადგენილი ფორმის ლითონის ზოლი, რომელიც შეიცავს განსაზღვრულ წონს და სინჯის ლითონს, რაც სახელმწიფოს შტამპითაა

მასზე აღბეჭდილი. მიიღო რა მონეტის ფორმა, ფულმა შეიძინა ეროვნული სახე და მისი მოჭრა სახელმწიფო მონოპოლიად იქცა“.

პროფ. ნანა ხაზარაძე აღნიშნავს, რომ „პირველი მონეტა მოიჭრა დასავლეთ მცირე აზიის ქვეყანაში – ლიდაში“, ძველი წელთაღრიცხვის მე-7 საუკუნეში, შემდგომ ამისა, მონეტამ გავრცელება აპოკა ხმელთაშუა და შავი ზღვის პირას მდებარე სახელმწიფოებში.

როგორც ისტორიულ და ეკონომიკურ წყაროებშია აღნიშნული, ქართული ვერცხლის მონეტა – „**კოლხური თეთრი**“ – ძველი წელთაღრიცხვის III საუკუნეებით თარიღდება. ქართული ოქროს მონეტა „**კოლხური სტრატერი**“ – იჭრებოდა ძველი წელთაღრიცხვის I საუკუნიდან ახალი წელთაღრიცხვის მე-3 საუკუნემდე.

მე-7 საუკუნით თარიღდება ქართლის ერისთავის სტეფანოსის მონეტა; შუა საუკუნეებში იჭრებოდა „**ყაანური ვერცხლის მონეტა, ხოლო მე-18 საუკუნეში „ორაბაზიანი ქართული თეთრი**“.

პროფ. გ. დუნდუა ხაზს უსვამს კაპანაძის მიერ მონეტის მნიშვნელობას ნუმიზმატიკური მეცნიერების შესწავლის პროცესში. კაპანაძის მიერ მე-1 – ახ. წ. მე-3 ს.ს.ში არის მოჭრილი, რომლებიც ვერცხლისა და სპილენძის მონეტებს წარმოადგენენ. კაპანაძის დრამატიკული აღმოჩენილია საქართველოშიც, კერძოდ ვანში. მეცნიერები გამოყოფენ მონეტების ორ ჯგუფს: საკუთრივ კაპანაძის მეფეთა მიერ და რომის იმპერატორთა ხელით მოჭრილ მონეტებს.

პირველი ჯგუფის მონეტების ემისია დაიწყო არიარათე I-ის (ძვ. წ. 333-332) დროს და გრძელდებოდა ძვ. წ. 36-17 წ-მდე. მონეტები არც თუ მრავალფეროვანია. მეორე ჯგუფის მონეტების ემისია დაი-

წყო ახ. წ. 30-იდან, იმპერატორ ტიბერიუსის (14-37) დროს. პირველი იჭრებოდა დრაქმა.

აქვე საზვასებით უნდა აღინიშნოს რომის იმპერატორ კალიგულას (37-41) ხანიდან მიმოქცევაში მყოფი დიდრაქმები. სპილენძის მონეტა მოჭრილ იქნა კლავდიუსის (41-54) მმართველობისას. სამონეტო ტიპი მრავალფეროვანია.

პროფ. გ. დუნდუას აზრით, კაპანაძის მთავარი ქალაქის კესარიის ზარაფხანა მე-2 საუკუნეში ფართო მასშტაბის სამონეტო ემისიას ახორციელებდა და მთელი მცირე აზიის, მათ შორის კოლხეთის ბაზრის მოთხოვნებს აკმაყოფილებდა. დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე (სოხუმი, ბიჭვინთა, ბანძა, ხევიეთი, ურეკი, სუფსა, ეკი და სხვ.) აღმოჩენილია 1200-მდე კაპანაძის მონეტა.

რომის იმპერატორის ადრიანეს (117-138) დიდრაქმები აღმოჩენილია მე-3 საუკუნის 30-50-იან წლებში ჩამარხულ განძებში (ეკი, ბიჭვინთა) და მიკვლეულია მე-3 საუკუნის შუა წლების კულტურულ ფენაში (ბიჭვინთა).

ნუმიზმატიკური მასალების შესწავლასა და კვლევას, რომელიც მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში არის დაცული, სათანადო ყურადღება ექცევა. ამ მხრივ მეტად საინტერესოა კოლხური მონეტები (თეთრები).

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს ფერადი ფოტოების სახით წარმოვანით ის უნიკალური მონეტები, „**კოლხური თეთრის**“ სახით, რომელიც ისტორიული კოლხეთის მაღლიანმა მიწამ შეიმოსა.

გივი (გია) ელიავა, მარტვილის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის დირექტორი

გაზეთი "ილორი" უძველეს რუბრიკას "მსოფლიოს ლეგენდარული მატჩები" გაზეთი "ილორი" უძველეს რუბრიკას "მსოფლიოს ლეგენდარული მატჩები"

ათი ლეგენდარული მატჩი თეთრი ცხენის ფინალი

1923 წლის 28 აპრილი. "უემბლი", ლონდონი. ინგლისის თასის ფინალი.

"ბოლტონ უონდერერსი" – "ვესტ ჰემ იუნაიტედი" – 2:0 (1:0). 126.047 მაყურებელი. მსაჯი: ესონი (ვესტ-ბრომვიჩი).

"ბოლტონი": პიმი, პაუორტი, ფინი, ნატოლი, სედონი, ჯენინგსი, ბატლერი, ჯეკი, სმიტი, ჯეკი სმიტი, ვიზარდი.

"ვესტ-ჰემი": პაფტონი, ჰენდერსონი, იანგი, ბიშოპი, კეი, ტრესვიდერი, რიჩარდსი, ბლაუნი, უოტსონი, მური, რაფელი.

ამ მატჩს თვით მეფე გეორგ-V ესწრებოდა და სწორედ ამის გამო ჩათვალეს, რომ მატჩი, ასე თუ ისე, ჩატარდა მშვიდობიანად და ფინალურმა დაპირისპირებამ თავიდან აიცილა სისხლიანი ტრაგედია.

მატჩზე დამსწრე მაყურებლები გამოირჩეოდნენ დიდი დისციპლინირებულობით, ამასთანავე, წესრიგის დამყარებაში დიდი როლი ითამაშა ბრიტანულმა პოლიციამ კონსტაბლ ჯორჯ სკორის მეთაურობით, რომელმაც თეთრი ცხენზე ამხედრებულმა მოახერხა მოზღვავეებულ გულშემატკივართა ოპტიმალურად გადანაწილება სტადიონის ტრიბუნებზე. ფინალური მატჩი, რა თქმა უნდა, შედგა, თუმცა იგი ერთი საათის დაგვიანებით დაიწყო. არავინ ელოდა, რომ სტადიონს, რომელიც გათვლილი იყო მხოლოდ 125 ათას მაყურებელზე, ამდენი გულშემატკივარი მოაწყდებოდა. რამდენიმე ათასმა ადამიანმა უბიძგეთოდ მოახერხა სტადიონზე შეღწევა და ტრიბუნებს შორის კიბეებზე მოკა-

ლათდა. ამან გასასვლელების ბლოკირება გამოიწვია და ბევრმა ბილეთიანმა მაყურებელმა ვერ მოახერხა საკუთარ ადგილამდე მიღწევა. გასაკვირი აქ არაფერია, რადგან მართლაც დიდი იყო ბრიტანეთის თასის პირველი ფინალი-სადმი ინტერესი. მხოლოდ ინგლისელთა ორგანიზებულიობას და ღრმა შინაგან კულტურას უნდა მივაწეროთ ის ამბავი, რომ მატჩმა ყოველგვარი ექსცესის გარეშე ჩაიარა.

პირველი გოლი **"ბოლტონელმა"** დევიდ ჯეკმა გაიტანა, მეორე გოლის ავტორი კი მისი თანაგუნდელი, შოტლანდიელი ჯეკი სმიტი გახდა. ამრიგად, **"ბოლტონ უონდერერსმა"** შესძლო **"ვესტ ჰემ იუნაიტედის"** დამარცხება და ინგლისის თასს დაეუფლა.

სწორედ ამის შემდეგ დაელო სათავე მსოფლიოს ქვეყნებში თასის გათამაშებას.

პირველი მსოფლიო ჩემპიონები
1930 წლის 30 ივლისი.

სტადიონი **"სენტენარიო"**, მონტევიდეო.

ურუგვაი-არგენტინა – 4:2 (1:2).

გოლები: ღორადო (12), ჩეა (57), ირიარტე (68), კასტრო (90), პეუსელე – (20), სტაბილე (37).

93.000 მაყურებელი. მსაჯი ლანკუინუსი (ბელგია).

ურუგვაი: ბალიესტეროსი, ნაზაცი, მასფერონი, ანდრადე, ფერნანდესი, გესტიდო, ღორადო, სკარონე, კასტრო, ჩეა, ირიარტე.

არგენტინა: ბოტასო, დელა ტორე, პატერნოსტერი, ხ. ვეარისტო, მონტი, სუა-

რესი, პეუსელე, ვარელა, სტაბილე, ვერეირა, მ. ვეარისტო.

ამ მატჩის ანგარიში მხოლოდ სამხრეთ ამერიკისა და ევროპის პრესამ გააშუქა ვრცლად. დანარჩენმა სამყარომ არც კი იცოდა, თუ რა ხდებოდა ურუგვაის დედაქალაქის სტადიონზე. მსოფლიო ჩემპიონატის პირველ ფინალურ მატჩს არბიტრი სჯიდა პალსტუხითა და გოლფის სათამაშო შორტებში გამოწყობილი. რამდენიმე ფეხბურთელი კი თავი ცხვირსახოციტ ჰქონდა წაკრული. დღეს შეიძლება ეს სასაცილოდ მოგეჩვენოს, მაგრამ ეს მატჩი მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში შევიდა როგორც ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის პირველი ფინალი. პირველი მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების გადაწყვეტილება მიიღეს ფრანგმა გერენმა და პოლანდიელმა პირშმანმა, რომელშიც მსოფლიოს 13 ქვეყანა მონაწილეობდა. ურუგვაიმ, რომელიც თავისი დამოუკიდებლობის 100 წლისთავს აღ-

ნიშნავდა, საკუთარ თავზე აიღო ჩემპიონატის ჩატარების ხარჯები. სპეციალურად აიგო სტადიონი-გიგანტი, სადაც ფინალი ჩატარდა. გუნდები ოთხ ჯგუფად განაწილდნენ და ფინალში ურუგვაელები და არგენტინელები გავიდნენ.

პირველი გოლი ურუგვაელებმა გაიტანეს, რასაც არგენტინელებმა ორი გოლით უპასუხეს. მეორე ტაიმში კი ურუგვაელებმა თამაშის ჩარხი თავისკენ მოაბრუნეს და მოიგეს მატჩი ანგარიშით 4:2. ერთ მომენტში თამაშში გარდატეხის შეტანა შეეძლო ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირს არგენტინელ ანდრადეს, მაგრამ მის მიერ ძლიერად დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა.

ურუგვაი პირველი მსოფლიო ჩემპიონი გახდა, რაც ეროვნული ზეიმის მიზეზად იქცა. სხვა განწყობა სუფევდა არგენტინაში, სადაც გულშემატკივრებმა ურუგვაის საელჩოს ფანჯრებში მინები ჩაამხვრიეს.

გიორგი ჯალაღანია



ილორი

"აგტოვაზის" ხელმძღვანელებმა ჩინელებს შესთავაზეს გაეკეთებინათ "ლადას" კლონი.

ჩინელების პასუხი: "ჩვენ მუტანტების კლონირებას არ ვახდენთ!"

რუსეთის მოქალაქე:

– აუუუ! რა კარგია ესტონეთში, იქ კრიზისი ორი საათით უფრო გვიან დგება!

მეზობელთან შევარდა აღელვებული, ფერწასული, ერთიანად აკანკალებული მამაკაცი.

– გეხვეწები, სიგარეტი, ჩქარა!

– შენ ხომ სამი წლის წინათ გადააგდე?

– გადააგდე კი არა, ამ წუთას სიკვდილმა მომიკაუნა კარზე.

– მერე, შენ ხომ ძალიან ცოცხლად გამოიყურები?!

– არა, ჩემს წასაყვანად კი არ მოსულა, ცელი დაბლაგვებია და საღესი ქვა მოხოვა...

ქმარი ცოლს მაშინ უღებს მანქანის კარს, როცა ან ცოლია ახალი, ან – მანქანა.

სიჭმრების ასსნა დანიულ წინასწარმეტყველის მიერ

ვაგრძელებთ ნაწვევების ბეჭდვას "ეგრემ ვერდის" წიგნის იმ მონაკვეთიდან, სადაც შეკრებილია სიჭმრების ასსნა დანიელ წინასწარმეტყველის მიერ.

- მონადირე იარაღით ნახო – ღმრთისაგან შემწეობა მოგეცეს;
- მსხლის ჭამა – ცუდია, ავადმყოფობაა;
- მეფის ნახვა – კარგია, სარგებლიანობაა;
- მკვდარს გამოართვა რამე – შემატების ნიშანია;
- მამლის ყვილი – სიხარულს ელოდე;
- მადლიდან ჩამოვარდნა – დიდებიდან დაცემის ნიშანია;
- მზე და მთვარე ერთად ნახო – ცუდი ნიშანია;
- მოკლული ვინმე ნახო – დიდი ვეგლახია და მწუხარება;
- მგელი ნახო – ცრუ კაცია, არავინ მოგატყუოს;
- მგელი მოკლა – მტერს მოერვე;
- მატყლის ნახვა – სარგებლობაა, თუ შავია – ცუდია;
- მჭედელი – კარგია და რაიმეს შეიძენ ოჯახისათვის.



გაზეთი "საქართველო და მსოფლიო"
ერთ-ერთი ლიდერი ქართულ მედიასივრცეში!
მისი ძირითადი კრედიტ – შეიძლება, ზოგჯერ ძალზე მწარე, მაგრამ მაინც სიმართლე, მხოლოდ სიმართლე! მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების მიუკერძოებელი ანალიზი, საინტერესო პუბლიკაციები, ინტერვიუები, პრობლემათა პროფესიული, ობიექტური ხედვა, პატრიოტული სულისკვეთება და მაღალი ზნეობისადმი სწრაფვა, მყარი მოქალაქეობრივი პოზიცია, პატრიოტიზმი, პრინციპულობა და არა სიჯიუტე, ახალგაზრდა თაობის სულიერი ფორმირების პროცესებში ღრმა წვდომა, შემეცნებითი ინფორმაციები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან, ფანტასტიკა და რეალობა... იდიასინკრაზია ყოველგვარი სიყვითლისა და იაფფასიანი სენსაციებისადმი!

ეს გაზეთი მხოლოდ სერიოზულ მკითხველზეა გათვლილი – არასერიოზულები და კულუარული იაფი ჭორ-ინტრიგების მოყვარულები ნუ გამოგვეხმაურებიან!

შეიძინეთ და იკითხეთ გაზეთი **"საქართველო და მსოფლიო"**!

სტამბოლისკენ ჰერი-ჰერი

„– ჭიჭიკია, რაგაა შენი სიდდერი? – რა ვიცი, მიდის ნელ-ნელა ზალისკენ!“ (ხალხური)

ჭიჭიკია შემთხვევით არ მიხსენებია, იმიტომ, რომ საქართველოს პარლამენტმა პირველი მოსმენით მხარი დაუჭირა საქართველოს პარლამენტისავე ნაწილობრივ ქუთაისში გადატანას.

2012 წლიდან პარლამენტის ადგილსამყოფელად დადგინდა ქუთაისი და თბილისი, ხოლო პლენარული სხდომები ქუთაისში გაიმართება.

ისე, თუ აკვირდებით, ჩვენი მთავრობა დასავლეთისკენ რომ მიიწვევს ქუთაისელი ჭიჭიკიას სიდდერივით?

ჯერ დავით აღმაშენებლის ძეგლი გადასწივს, მერე პრომეთე მიაყოლეს, ახლა პარლამენტი მიაქვთ და, ალბათ, ცოტა ხანში თბილისში მარტო მიშა და მტკვარი დარჩებიან, მტკვარს კალაპოტს ვერაინ დაატოვებინებს და მიშას – თავის სასახლეს, მით უმეტეს!

შემომამქვს წინადადება – პარლამენტი თავისი ფრაქციებით, სხდომებით, ბაქრაძითა და გიორგი თარგამაძითურთ ნელ-ნელა კი არა, ერთბაშად ბათუმში, თურქეთისკენ მიმავალ ბორანზე, გადავიტანოთ. მერე ეს ბორანი დაიძვრება და ჩვენს პარლამენტს სტამბოლში ჩაიტანს. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღმდგენები ვენი მაინც არ არიან და, იქნებ, თურქებს მაინც გამოადგინენ მამლუქებად და ოტომანთა იმპერია ავადგინონ ძველი დიდებითურთ.

თანაც ამბობენ, რომ სხვა ქვეყანაში წასულ ქართველებს უფრო უყვართ თავიანთი სამშობლო!

ლექსო ლეკიაშვილი

<p>გაზეთში გამოქვეყნებული პუბლიკაციის ავტორებს უეისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე</p>	<p>რედაქციის მისამართი: თბილისი, მესამე ნადიკვარის №11 სარეგ. №01018002930</p>	<p>მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია მთ. რედაქტორის მოადგილე: ლავით ქობალაია ტექნიკური რედაქტორი: მიხაილ ჩოლოყიშვილი</p>	<p>anaklia@web.de e-mail: elisabetthal@yahoo.de ჩაქალაქის განთავსება 899-57-33-22 72-37-35 38-41-97</p>
---	---	---	---